საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 28 ნოემბერი, 2012 წელი.

№228 (7104)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჯდვეტი სიფცვაა, ფცუილებით და ჯოხებით ბეტონის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

„გაცოფნებულნი“ — გვერდი-გვერდ

3

ზონდერ-პროკურორების და აღეიშვილის ხელის ბიჭების ჩამონათვალი

5

ეს სოფლის ალორძინებას სასიკეთოდ წაადგება

4

უნივერსიტეტი ხელისუფლებისგან შველას ითხოვს!..

როგორ მოკლეს გენერალი?..

6

სანამ კუდს მოიქნევდეს...

თითქმის ორი კვირაა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“ თბილისსა და საქართველოს ყველა მხარეში ქვეყნის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით მოქალაქეთა ხელმოწერებს აგროვებს. პროცესის მიმდინარეობასა და ზოგიერთ სხვა საკითხთან დაკავშირებით გუშინ, სასტუმრო „დიდუბე პლაზას“ საკონფერენციო დარბაზში საზოგადოების რიგით მეორე კონფერენცია გაიმართა, რომელსაც შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები, სასულიერო პირები, სახელოვანი სპორტსმენები დაესწრნენ.

კონფერენციის დაწყებამდე დამსწრეთ სასიქადულო მამულიშვილების, მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის, რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის, აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძისა და სახელოვანი სპორტსმენის ჯანო ბაგრატიონის მიმართვები გააცნეს, რომლებიც შეუძლოდ ყოფნის გამო თავყრილობას ვერ დაესწრნენ.

— უკვე შეუძლებელია იმის მოთმენა, რაც ქვეყანაში ხდებოდა. როგორც იქნა საქართველოში თავისუფლებამ გაიმარჯვა, ხოლო ის ადამიანები, ვინც ქვეყანას ამდენი უბედურება დამართა, ისე ლაპარაკობენ, თითქოს ბრალი არაფერში უდევთ, — თქვა კონფერენციის მონაწილეთადმი მიმართვაში ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ. — ახლა მიშა უნდა გადადგეს, რადგან მისი პრეზიდენტად ყოფნა აუტანელია. მან გაანადგურა ქართული კულტურა — მუსიკა, თეატრი, მეცნიერება, რადგან მიაჩნდა, რომ ყველაფრის სპეციალისტია, ამიტომ რაც შეიძლება მეტი ხელმოწერა უნდა შეგროვდეს, რათა ტირანი თავიდან მოვიშოროთ.

მიხეილ სააკაშვილის გადადგომის თაობაზე საზოგადოების მოთხოვნას სრულიად იზიარებს ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი, აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძეც სავსებით ეთანხმება აზრს, რომ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა უნდა მოისპოს, რათა ხალხის მიერ არჩეულმა პოლიტიკურმა ძალამ ქვეყნის სრულფასოვნად განკარგვა შეძლოს, ესაა ერთადერთი სწორი გზა. მთავრობას ხელი ეშლება საქმიანობაში, პრეზიდენტი კი ყველა წამოწყებას მის წინააღმდეგ იყენებს.

— ძლივს ეღირსა ქვეყანას დემოკრატი ხელმძღვანელი, ამიტომ მას თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, ხელისუფლების „ხავერდოვნად“ გადაბარება კი მანამდე ვერ მოხერხდება, ვიდრე მიშა პრეზიდენტის სავარძელში ზის. მას ვაჟკაცობა უნდა ეყოს და უნდა გადადგეს, — ამბობს ბატონი ჯანო ბაგრატიონი.

იხ. 2 გვ.

კომუნალურების სუბსიდირების იდეას მაინცდამაინც არ იწონებენ

6

ხალხისგან ინვესტიციის ამოღების თაღლითური სქემა გაზის ტარიფში

7

თბილისის საზოგადოება ითხოვს

2

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბიძინა ივანიშვილი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილეს ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ერიკ რუბინს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილეს ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ერიკ რუბინს შეხვდა. შეხვედრა მთავრობის კანცელარიაში გაიმართა. მხარეებმა საუბრისას ხაზი გაუსვეს საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების 20-წლიან ურთიერთობას და იმედი გამოთქვეს, რომ თანამშრომლობა ორ მეგობარ ქვეყანას შორის კიდევ უფრო გაღრმავდება. ბიძინა ივანიშვილმა მადლობა გადაუხადა ერიკ რუბინს იმ დიდი დახმარებისთვის, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს უწევს. საუბარი ასევე შეეხო ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების საკითხს.

„თბილი, მეგობრული შეხვედრა გვქონდა, ძალიან საინტერესოდ ჩაიარა. კიდევ ერთხელ გავაანალიზეთ ორმხრივი ურთიერთობები და იმედი გამოვთქვით, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების ძალისხმევით, ის კიდევ უფრო გაღრმავდება“, — აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

საზოგადოების მოთხოვნა

(პირველი გვერდიდან)

— „ერთსულოვნების“ დღევანდელი კონფერენციის ძირითადი საკითხია ხელმოწერათა შეგროვების პროცესის შემდგომი განვრცობა და სათანადო სამუშაო რეჟიმის შექმნა, — გვითხრა ექსკლუზიურ ინტერვიუში „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისთვის“ თავკაცმა მიხეილ ანდღულაძემ. — პირველი თემაა ამ პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების ინტეგრირება, მეორე საკითხია სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში საქართველოში აღნიშნული ხელმოწერების ფორსირებულ რეჟიმში შეგროვების ერთიან პროექტს წარმოადგენს. ჩვენი მიზანია, 2013 წლის 4 იანვრამდე რაც შეიძლება მეტი ხელმოწერის შეგროვება, რომლებსაც იმ დღეს, 13 საათზე, შესაბამის პეტიციასთან ერთად, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დისკოებზე დასკანირებულს შევიტანთ. პეტიციაში ნათქვამი იქნება, რომ ამ ხელმოწერებით საქართველოს მოსახლეობა აფიქსირებს ქვეყნის პრეზიდენტის მის პოსტთან არაადეკვატურობას და დაუყოვნებლივ მოითხოვს მის გადადგომას. ამასთან ერთად, პეტიციის ასლები გადაეგზავნება საქართველოში აკრედიტებული ყველა უცხო ქვეყნის საელჩოს, ასევე სხვადასხვა ქვეყნის ხელმძღვანელ პირებს მათგან მხარდაჭერის მისაღებად. თუმცა კი ვფიქრობთ, რომ საქართველოს მოსახლეობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ასეთი ერთსულოვნება ისეთ ფონს შექმნის, რომ მსოფლიო თანამეგობრობას მხედველობის არენიდან არ გამორჩება და რანაირი სამართლებრივი შირმაც არ უნდა აიფაროს მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი სკამის შესანარჩუნებლად, ის მაინც ჩაითვლება ხალხის მიერ უარყოფილ ადამიანად, რომელსაც ქვეყნის პირველი პირობის არანაირი ზნეობრივი უფლება არა აქვს. შემდეგ კი ყველა ეს ხელმოწერა ერთ დიდ წიგნად შეიკვრება და ეს ქართველი ერის მორალური კოდექსი იქნება.

კონფერენციის გახსნისას კი ბატონმა ანდღულაძემ დამსწრეთ ამცნო, რომ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერათა რიცხვმა თბილისში 60 ათასს გადააჭარბა, ამდენივე ბლანკი საქართველოს ყველა მხარეშია გაგზავნილი, რომელთაგან შეუვსებელი არც ერთი უკან არ დაბრუნებულა. ამასთან, იმის გამო, რომ მათი შეგროვება გარკვეულ ფინანსურ რესურსებს საჭიროებს, საზოგადოების საიტზე შემოწირულობებისთვის საბანკო ანგარიშის ნომერია მითითებული. მან ასევე ისიც აღნიშნა, რომ 27 დეკემბერს საბერძნეთის ქალაქ სალონიკში ქართული დიასპორა საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის ხელმოწერათა შეგროვების მხარდამჭერ აქციას მართავს და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანამემამულეებს ამასვე მოუწოდებს. ბატონმა ანდღულაძემ დამსწრეთ ასევე აუწყა, რომ აღნიშნული მოთხოვნით საიტზე www.sauple.ge მსურველებს ელექტრონული ხელმოწერითაც ექნებათ თავიანთი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა და საზოგადოებას მისი გაკეთების წესი გააცნო.

შემდეგ მან სიტყვა კინორეჟისორ რეზო ჩხეიძეს გადასცა, რომელმაც, კერძოდ, განაცხადა:

— მიხეილ დამანგრეველს, რომელმაც ამდენი ტანჯვა მოუტანა ერს, პრეზიდენტად ყოფნის არანაირი უფლება არა აქვს. ჩვენთვის, ჩვენი სიმცირისა და ამავე დროს უდიდესი კულტურის პატრონებისთვის, არა იმდენად ატომური ბომბი, რამდენადაც კულტურის ნგრევაა უმთავრესი საშიშროება. ჩვენში ბუნებაც ყველასგან განსხვავებულია, ხოხობიც სხვანაირი გვყავს, ძელქაც და ფუტკარიც! ამდენად, ჩვენი ეროვნული სიმდიდრე სწორედ ბუნებაა და კულტურა, მათი მტერი კი ერის მტერია. ამიტომაც იყო, რომ მიშას პირველი დარტყმები სწორედ რომ ქართული სულისთვის უნდა მიეყენებინა, რადგან სწორედ ესაა ჩვენთვის „ატომური ბომბი“. თუ არა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსული ბიძინა ივანიშვილი, არ ვიცი, როდის ამოვიღებდით ხმას. ის, ვისაც ჰგონია, რომ ხელმოწერები პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით არაფრის მაქნისია, რადგან იურიდიული ძალა არა აქვს, ცდება, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მარტო დავით აღმაშენებლის, გიორგი სააკაძის, სხვათა ძეგლების თავის ნებაზე გადატანა, ქართული თეატრის, კინოს ნგრევა რად ღირს! რობიკოსტურუას ფილოსოფიური სპექტაკლების ნაცვლად რუსთაველის თეატრის სცენაზე დღეს ტიტლიკანა ქალები დახტიან, სირცხვილია! ახლა მიწების გაყიდვა და უცხოტომელთა მოძალებაც ვთქვათ, გმირთა მოედანზე ფალოსის მსგავსი სვეტის წამოჭიმვა — განა ეს შეურაცხყოფა არ არის?! ამიტომაც ყველამ ხელი უნდა მოვაწეროთ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას და ის უნდა წავიდეს, ახალმა ხელისუფლებამ კი თავისი საქმიანობით ხალხს უნდა დაანახოს, რომ ის ჭეშმარიტად ეროვნულია და საქართველო თავის საქმეს თავად დაალაგებს, ამის გამოცდილება ჩვენ გვაქვს!

— პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, 60 ათასი ამას არ ეყოფა, პეტიციას მთელმა ერმა უნდა მოაწეროს ხელი, — თქვა საზოგადოება „ლაზარეს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, პოეტმა რეზო ამაშუკელმა. — არ დაგიმალავთ: „ქართული ოცნებისთვის“ პირადად მე ხმა არ მიმიცია, იმიტომ რომ იქ მრავლადაა პოლიტიკური მორგიდან გამოტანილი გვამი, ამიტომაც ხელისუფლებასთან პრეტენზიები მაქვს. ბიძინა ივანიშვილის შემოსავალი პარლამენტში ახლა თბილად მოკალათებულ ზოგიერთ ბობოლასთან შედარებით ერთი საშუალო კაცის შემოსავალია. ჩვენ თუ არ ვიომეთ, ესენი არ მოისვენებენ, ამიტომ გულდამშვიდებით ნუ ვიქნებით, ბატონებო! ამიტომ ამის წინააღმდეგ ვიომებ ისე, როგორც მთელი ცხოვრება მიომია! მოგვეცით უფლება, რომ ჩვენ თავს თავადვე მივხედოთ ჩვენსავე ქვეყანაში, თორემ ევროპელები ვერაფერს გვასწავლიან! ახლა გული რომ შეგტკივათ საქართველოზე, თქვე დალოცვილებო, თბილისი სისხლით რომ მოსვარეს, სად იყავით მაშინ? ახლა რომ გვეუბნებიან — პოლიტიკური ზენოლაა ოპონენტებზეო, პარლამენტში რომ სხედან დეპუტატები, ხმას რატომ არ იღებენ? მე კი იქ დავდგები, სადაც ჩემს ქვეყანას სჭირდება, ჩვენ ყველასთან უნდა გავერთიანდეთ — რუსებთანაც, აფხაზებთანაც, ოსებთანაც. ამ გარეწრებმა ახალგაზრდობა მოსპეს, ამიტომაც ახალგაზრდებმა ბევრი რამ უნდა იტვირთონ.

ხმამაღლა ვაცხადებ: გვაცადეთ, ბატონებო, მოგვეცით საშუალება საქართველოში ისე ვიცხოვროთ, როგორც ეს ჩვენს მამა-პაპების ხსოვნას და პატივისცემას ეკადრება!

საბოლოოდ ვაფრთხილებ საქართველოს: ეს კიდევ მოიქნევს კუდს, ამიტომ მაგრად უნდა დავდგეთ და ბრძოლისთვის მზად უნდა ვიყოთ!..

ოთარ ტურაბელიძე

სანამ კუდს მოიქნევდეს...

◎ ყურადღება!

ქალთა საკრებულო „თბილისელი“

თბილისის საზოგადოება ითხოვს

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ასლი: საქართველოს პარლამენტს, საქართველოს მთავრობას

გაახლებთ ქალთა საკრებულო „თბილისელის“ საინიციატივო წინადადებებს, რომლებიც ეხება ქ.თბილისის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის აქტუალურად მიჩნეულ საკითხებს.

მიმართვას თან ერთვის:

1. წინადადება დავით აღმაშენებლის ძეგლის განთავსების ადგილის ცვლილებასთან დაკავშირებით;
2. წინადადება თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის ქალბატონ ირინა ენუქიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარე
ნინო კილურაძე

შემსრულებელი
სტეფანე მეფისწვერიძე

ტელ: 577 74 84 97

ძველი საზოგადოება „თბილისელის“ სახელით, ქალთა საკრებულო „თბილისელის“ ინიციატივას მხარს ვუჭერთ:



1. სად უნდა იდგეს დავით აღმაშენებლის ძეგლი

ხუთი წლის წინათ, ვარდების მოედნის რეკონსტრუქციის მოტივით, გამოჩენილი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლი თბილისის ცენტრიდან დილომში გადაიტანეს, რაც მოხდა საავტორო უფლებების უხეში დარღვევით, საღი აზრისა და პროფესიონალი ექსპერტების შეხედულების უგულებელყოფით. მაშინ საზოგადოებისათვის გამოცხადდა, რომ ასეთი არაპოპულარული გადაწყვეტილება თბილისის მერიამ მიიღო, რომლის ოფიციალური ვერსიით ყაზახი ინვესტორები თითქოს აპირებდნენ სასტუმრო ივერიის მიმდებარე სივრცის რეკონსტრუქციას.

თუმცა, საზოგადოებაში მაშინვე გავრცელდა საწინააღმდეგო შინაარსის ინფორმაცია, რომ ყაზახი ინვესტორები არაფერ შუაში ყოფილან, ანუ ძეგლის გადატანა არავის მოუთხოვია და რომ ეს მხოლოდ იმ ერთი ადამიანის ნება-სურვილი გახლდათ, რომელსაც არაერთი მსგავსი უგუნური გადაწყვეტილება იმპულსურად მიუღია 2004-2012 წლებში. მართლაც სააკაშვილმა ნამდვილი ომი გამოუცხადა ძეგლებს, ისტორიულ შენობა-ნაგებობებს, რითაც დიდი, აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა არა მხოლოდ თბილისს. კერძოდ, განსაკუთრებული სისასტიკით კვლავ ბატონ მერაბ ბერძენიშვილის ნამუშევრებს მოეპყრნენ. ალბათ, იმიტომ, რომ მან ბოლომდე შეინარჩუნა პრინციპული პოზიცია ავტორიტარული რეჟიმისა და მისი შემოქმედის მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

ქალთა საკრებულო „თბილისელის“ და ძველი საზოგადოება „თბილისელის“ აზრით, მართებული და მნიშვნელოვანი იქნება მეფე დავით აღმაშენებლის ძეგლის პირვანდელ ადგილზე დაბრუნება, რაც, დარწმუნებულები ვართ, მრავალი მოქალაქისათვის სახელმწიფო აღმშენებლობის განახლების სიმბოლოდ იქცევა.

2. მიენიჭოს ირინა ენუქიძის სახელი

სანდრო გირგვლიანის საზარელმა მკვლელობამ საქართველო შეძრა. იმთავითვე ყველასათვის ცხადი იყო, რომ პოლიციის ოფიცრებმა შსს-ის მაღალჩინოსნების სადისტური ბრძანება შეასრულეს.

საყოველთაო თანადგომის ვითარებაში უშიშარმა პიროვნებამ, სანდრო გირგვლიანის დედამ ქალბატონმა ირინა ენუქიძემ თავგანწირული ბრძოლით ფეხზე დააყენა საზოგადოება. სწორედ ირინა ენუქიძის ძალისხმევამ შესაძლებელი გახადა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტისადმი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობა, რაც სტრასბურგის სასამართლოსათვის ობიექტური მასალების მიწოდებით დაგვირგვინდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებამ დაადასტურა ყველა ის ბრალდება, სანდროს ოჯახის წევრები და მთელი საზოგადოება რომ უყენებდა ხელისუფლებას ამ საზარელ მკვლელობასთან დაკავშირებით, რითაც უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმს.

ირინა ენუქიძე ვერ მოესწრო ქართველი ხალხის გამარჯვებას, მაგრამ მან თავი შესწირა სამართლიანობისა და ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლას. თავისი უკომპრომისო მოქმედებით განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებაში, რაც გამოიხატა ჩვენს საერთო გამარჯვებაში.

ამრიგად, ბუნებრივია, რომ ქალთა საკრებულო „ თბილისელი“ და ძველი საზოგადოება „თბილისელი“ მოგმართავთ თხოვნით, რათა დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას, მაგალითად, იორის ან ხიდისთავის ქუჩას (ავლაბარში) მიენიჭოს ირინა ენუქიძის ქუჩის სახელწოდება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გამოსვლა ნოკაუტიდან

გაცოცხლებულნი - გვერდიგვერდ

დღე ერთია და მოქალაქეთა სატელეფონო გადაძახილი– ათასი: არიქა, ეს დაუჭერიათ, ის გამოუშვიათო... თავისი თავის პატივისმცემელი ყოველი ტელეარხი მაუწყებლობას იმით იწყებს, რომ ცდილობს სხვას დაასწროს აცქმუტებული მსმენელის ცნობისწადილის დაკმაყოფილება ახალ დაპატიმრებათა ან დაპატიმრებებზე ნუგზარ წიკლაურისა თუ თეა თუთბერიძის კომენტარის მოწოდებით, თუმცა, ამ „კომენტატორთა“ ხილვა მაყურებელთა უმრავლესობაში დიარეის მწვავე შეტევას იწვევს.

ხალხი ტელევიზორს აღარ სცილდება, ნანახ-მოსმენილის განსჯას უნდება.

აი, იმ დღეს ბომბივით გასკდა: საზღვარგარეთიდან ირაკლი ოქრუაშვილი ჩამოსულა ბაჩო ახალაიასავით თავისი ფეხით და ხელისუფლებას ჩაბარებიაო.

მეორე „ცოტნე დადიანი“ პირველ „ცოდნე დადიანს“ მიუჯდა „გვერდში“ (რა თქმა უნდა, პირობითად, თორემ უკვე ბავშვმაც კი იცის, პირველი ცოტნე – ბაჩო ახალაია მე-7 საპყრობილეში ზის, „გვერდში მიმჯდარი“ მეორე ცოტნე ირაკლი ოქრუაშვილი კი – მე-8-ში).

იმ დღეს პრესკონფერენციაზე პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, როცა ჰკითხეს, რა გარანტიები მიეცით ოქრუაშვილს, საფრანგეთიდან ჩამოსვლა რომ გადააწყვეტინეთო, სულ დედა იფიცა, რის გარანტიები, სულაც არ ვიცოდი თუ ჩამოდიოდაო.

მთავარი ის არ არის, იცოდნენ თუ არ იცოდნენ, მთავარია, რას იტყვის ის კაცი. სათქმელი კი, ალბათ, ბევრი აქვს, ყოველ შემთხვევაში, უნდა ჰქონდეს!

ამის მოლოდინი ჰე, საიდან მოდის, ირაკლის პირველი გაოპოზიციონერებიდან, როცა მოულოდნელად გამოვიდა და ნაცმოძრაობას, როგორც იტყვიან, თავზე დაახურა. მართალია, მაშინ მის ამ რევოლუციურ ნაბიჯს აშკარად პირადი წყენა კვებავდა, მაგრამ ასე იყო თუ ისე, როცა ყურძნის პოლკოვნიკად (ალბათ გახსოვთ, პრეზიდენტმა რთველის უდანაკარგოდ ჩაბარება რომ ანდო) დანიშნული „რკინის ირაკლი“ საეჭვო დუმილის შემდეგ (ეს დუმილი ხალხში იმედად აღიქმებოდა, ერთ დღესაც გამოვა და დაიქუხებსო) გამოვიდა და დაიქუხა კი არა, მთელი საქართველო შეაზანზარა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე – მეფე შიშველიაო, თანაც ამ შიშველ ტანზე ეშმაკეული ფორეჯები აყრიაო, მასებმა ზეცად აღაპყრეს თვალები, როგორც იქნა, რომ ვნატრობდით, ის გმირი მოგვევლინაო.

ექსშინაგან საქმეთა მინისტრ-ექსგენერალურ პროკურორ-ექსთავდაცვის მინისტრმა 2007 წლის ოქტომბერში თავისი მგზნებარე მხილებით ხელისუფლების (პრეზიდენტის) მიმართ წაყენებული ცხრა ბრალდებით საზოგადოებაც მიიმხრო და იმედებიც უხვად დაბადა, ფაქტობრივად ბროწეულივით დაათასნაწილებული ოპოზიცია თავის გარშემო შემოიკრიბა, მაგრამ ეს მამხილებელ-რევოლუციური მუხტი ბატონ ირაკლის დიდხანს არ ეყო. კაჟის ნამინისტრალმა ციხის ჯურღმულებს ზუსტად 9 დღე გაუძლო და ნემსშერჭობილი მუშტივით ჩაიფუშა. წამოყენებული 9 ბრალდებისა გამო გამოძიების დასმულ ცხრა შეკითხვას ცხრაჯერვე უარყოფითად უპასუხა: ვერანაირად ვერ დავამტკიცებ ადრე ნათქვამს, არანაირი დამადასტურებელი მასალა არ მაქვს, ყველაფერი პოლიტიკური დივიდენდების დასაგროვებლად განვაცხადეო.

მაშინ ბევრი ბჭო ხალხმა, როგორ მოხდა ესო, როგორ გატეხეს ეს გაუტეხელი კაციო, უთუოდ ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერებებით გათვალესო, ან ცოლ-შვილის ფიზიკური განადგურებით დაემუქრნენო... მახსოვს, ტელევიზიით ინტერაქტიური გამოკითხვისას ირაკლი ოქრუაშვილის აღიარებას სამართალდამცველთა ზემოქმედებას მიაწერდა გამოკითხულთა 93 პროცენტი.

სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ოქრუაშვილის აღიარება მართლაც იეზუიტური მეთოდებით იყო გამოძალული, მაგრამ როცა პოლიტიკურ (ოპოზიციურ) ასპარეზზე ასეთი ხმაურიანი განცხადებებით გამოდიხარ, რომლითაც ყოველგვარ უკანდასახევ ხიდებს წვავ, როცა მთელი ოპოზიციური სპექტრის გაერთიანებას უდგები მედროშედ, ნამდვილად უფრო მეტი მოგეთხოვება, მით უფრო, რომ გენერალური პროკურორის სკამიც გამოცვლილი გაქვს და შინაგან საქმეთა მინისტრისაც, ანუ იცი ამ უწყებების, შენი ყოფილი კოლეგების მუშაობის სტილი და ტექნიკური არსენალი, იცი, რომ ქვას წვენს გამოადენენ. იცი შენი შესაძლებლობის ზღვარიც! ჰოდა, არ შეიძლება არ გაგეთვალა, რომ იმ პირველი განცხადების შემდეგ შენი ყოფილი პარტიელები დიდხანს არ გაჯეჯილებდნენ.

იმასაც ვუშვებ, რომ კაცი უბრალოდ გატყდა.

ყველას ნუ მოვთხოვთ გმირობას.

ისიც ხდება, რომ გმირი გგონია, შეიძლება გმირულად დაიწყოს კიდეც, მაგრამ ბოლომდე არ ეყოს დენთი და უსახელოდ დაასრულოს.

მაგრამ არიან მართლა გმირებიც, აი ისეთები, სანამ თავს ბოლომდე არ მოსჭრიან, „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადაო“, რომ ყვირიან. ისინი სწორედ ასეთებად იბადებიან, თუმცა, შეიძლება მთელი ცხოვრება ისე იცხოვრონ ჩვენს გვერდით, ვერც შევიტყოთ, გმირები რომ არიან, სანამ მათი დრო არ დადგება.

გმირი თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილივით როყიო განცხადებებს არ აკეთებს და ხალხს არ აღავღავებს, ახალ წელს ცხინვალში შევხვდებითო, არც შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილივით ერეკება აგარასთან სახელდახელოდ ამოწვერილი ბორდელიდან ნიფხავ-პერანგიან ბოზებს, არც სახეზე შეყინულ ნიღაბს ეფარება მასზე ლეგენდების შესათხზავად. გმირი უბრალოდ, გმირობას სჩადის, როცა ამას ერისა და ქვეყნის ინტერესები მოითხოვს და უშიშრად ადის ეშაფოტზე.

მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ირაკლი ოქრუაშვილმა მაშინ მაინც დიდი როლი შეასრულა, კერძოდ ის, რაც მანამდე ვერავინ შეძლო: თავის ირგვლივ დარაზმა ოპოზიცია, განსაკუთრებით თავისი დაპატიმრებით მისცა მუხტი ოპოზიციის გაერთიანებას. მან მავრივით გააკეთა თავისი საქმე და იმ ვალმოხდილი მავრივით წავიდა კიდეც ემიგრაციაში პარიზში.

2007 წლის მოვლენები ასე ვრცლად იმიტომ გავიხსენე, რომ დღევანდელობას „საგნობრივად“ შევუდარო: ამჯერად ირაკლი ოქრუაშვილი თავისი ფეხით შევიდა ციხეში. ამ ერთით ის რაღაცით მართლაც ჰგავს ბაჩო ახალაიას და, ასე თუ ისე, ცოტნე დადიანსაც. ოღონდ არსებითი სხვაობაც არის. ჯერ ერთი, ცოტნეს თავგანწირვას თანამოძმენი უნდა გადაერჩინა და მან ეს მართლაც შეძლო, თუნდაც იმიტომ, რომ მონღოლებმა გმირობის დაფასება შეძლეს („ცოტნე გმირია, დიდებული გმირი, ოღონდაც, თუ ბიჭები ვართ, ნუ ვადიდებთ მარტოდენ ცოტნეს, ვადიდოთ სახედაღრეჯილი ლომი მონღოლიც, ვაჟკაცობისა და გმირობის უებრო მცოდნე“), მეორე – ბაჩოსა და ირაკლის „ცოტნეობაში“ დიდი სხვაობაა. ახალაიამ თავისი უდანაშაულობა უნდა დაამტკიცოს, ირაკლიმ – სხვათა დანაშაული (ყოველ შემთხვევაში, მგონია, მარტო იმის სამტკიცებლად არ ჩამოსულა, მაშინ 11 წელი უსამართლოდ მომისაჯესო). ოქრუაშვილმა ისიც იცის (უნდა იცოდეს!), რომ მის ყოველ აღიარებას თუ უარყოფას ერი დღეს ისე შემწყნარებლურად აღარ შეხვდება, ანუ მის მიმართ მორალურ შეღავათებს აღარ დაუშვებს. ამდენად, ციხე იქით იყოს, მთელი იმისი პოლიტიკური მომავალი დევს სასწორზე!

დღეს ქვეყანა მასობრივ დაპატიმრებათა კვალობაზე ხმაურიანი სასამართლო პროცესების მოლოდინშია. ახლებური, გარდაქმნილი, რეფორმირებული სასამართლოსი, რომელიც პროკურორის წარბის აწევით აღარ წყვეტს საქმეს.

რომაელი მწერალი და ისტორიკოსი ტრანკვილუსი იმპერატორ გაიუს ოქტავიანეს – ღვთაებრივი ავგუსტუსის ერთერთ ღირსებად იმასაც ასახელებს, რომ მან შეწყვიტა გაჭიანურებული სასამართლო პროცესები, რომელთა დროსაც ბრალმდებლები უბრალოდ ერთობოდნენ ბრალდებულთა დამცირებით, სარჩელის განახლებისთვის მათ ტოლფასი სასჯელით დაემუქრა.

რომის კანონმდებლობით, ტოლფასი სასჯელი შემდეგს ნიშნავდა: თუ ბრალმდებელი ვერ დაამტკიცებდა ბრალდებას... თვითონვე ედებოდა ის სასჯელი, რომელიც ბრალდებულს ემუქრებოდა..

ახლა სწორედ ის დროა, საქართველოში ტოლფასი სასჯელი შემოვიღოთ. გადატენილი ციხეები, უღვთოდ გაჭიანურებული სასამართლო პროცესები, დაუმტკიცებელი ბრალდებები მოითხოვს ამას.

საოცარია, შაგრენის ტყავივით რაც უფრო მცირდება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, შესაბამისად ბაყბაყდევივით იზრდება პატიმართა და პრობაციონერთა რიცხვი. სამწუხარო და თვალსაჩინო ფაქტია, რითაც გვარიანად გადავასწარით დასავლეთსაც და აღმოსავლეთსაც. მიდის, გარბის ხალხი სამშობლოდან, კაციც, ქალიც...

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გულისმომკვლელი ინფორმაცია: 2011 წლის განმავლობაში 1347 ქართველი ქალი გათხოვდა უცხოელზე. იქორწინა და ქმრის სამშობლოში წავიდა. აქედან 548 ქალი რუსეთს შეეფარა, 189 – საბერძნეთს, 172 – თურქეთს, 56 – გერმანიას, 28 – სომხეთს, ამდენივე – დიდ ბრიტანეთს, 27-27 – აზერბაიჯანსა და ისრაელს, 22 – ინდოეთს, 20 – იტალიას, 18 – უკრაინას, 14 – საფრანგეთს, 13 – ნიდერლანდებს, 12 – კანადას, 7-7 – ნეპალსა და ლატვიას, 6 – ყაზახეთს, 5 – პოლონეთს.

ეს რეესტრის ოფიციალური მონაცემებია, ანუ იმ ქორწინებათა სტატისტიკაა, რომლებიც საქართველოშია რეგისტრირებული. რამდენი არალეგალურად გადის ქვეყნიდან და იქ თხოვდება? 1347 ქალი სულ ცოტა 1347 ბავშვიც არის. ეს მხოლოდ ერთ წელიწადში. საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი!..

საქართველო არა მარტო შვილებს კარგავს, არამედ ბევრ ისეთ რამეს, რისი დაკარგვაც აღარ ანაზღაურდება, არამც და არამც არ ეგების – ტრადიციებს, მამაპაპურ ადათ-ჩვეულებს, რაც მთავარია – ღირსებას. ღირსებადაკარგული კაცი კი გინდა სამშობლოში დარჩენილა და გინდა გრენლანდიაში გადასახლებულა, არც აქ არგია ვინმეს და იქ ხომ – საერთოდ!

აი, ამ უღირსობის პროცესის შეჩერების იმედს სდებს ხალხი „ქართულ ოცნებას“, როგორც წინამორბედზე უფრო ეროვნულს და ეროვნულობაზე ორიენტირებულს, მაგრამ აშკარად შესამჩნევია: ნაცმოძრაობა, რომელიც ნოკაუტიდან თანდათან ფხიზლდება, ძალებს იკრებს და ენასაც ცუდად ატყლაშუნებს, უიმედობისა და გამოუვალობის გრძნობას ბადებს (ყოველ შემთხვევაში ცდილობს დაბადოს)!..

ალეკო ასლანიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

იუსტიციის სამინისტრო სტრასბურგის სასამართლოს ქართული საქმეებისგან განტვირთვაზე მუშაობს

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სტრასბურგის სასამართლოს ქართული საქმეებისგან განტვირთვაზე მუშაობს.

ამის შესახებ „მაესტროს“ პრესკლუბში იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა და განმარტა, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წინა კვირას გამართული მისი ვიზიტიც სწორედ აღნიშნული საკითხის განხილავს შეეხებოდა.

– შევხვდი სტრასბურგის სასამართლოს თავმჯდომარეს, სხვადასხვა მოსამართლეს, მათ შორის იმ სექციის თავმჯდომარეს, სადაც ქართული საჩივრები იხილება და არაერთ იურისტს, რომელიც ქართულ საქმეებზე მუშაობს. ჩემი იქ ჩასვლის მიზანი იყო შემეთავაზებინა, განვტვირთოთ ევროპული სასამართლო ქართული საჩივრებისგან და დავამკვიდროთ კულტურა, რომ ქართველების პრობლემები გვარდებოდეს ქვეყნის შიგნით და მათ არ უწევდეთ საზღვარგარეთ სიარული, რათა ამტკიცონ სიმართლე. დღეს ევროპულ სასამართლოს აქვს 700 დასაბუთებული ქართული საქმე და ამდენივე, პირველი შეხედვით, დაუსაბუთებელი. ეს არის ძალიან ბევრი, რადგან, მაგალითისთვის, საფრანგეთს აქვს 60 დასაბუთებული საქმე. სტრასბურგის სასამართლო დიდი სიხარულით შეხვდა ამ მიდგომას, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

– მინდა, სამინისტროს სახელით ყველა მომჩივანს მივმართო და ვუთხრა, თუკი მათ მიაჩნიათ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გაჩნდა შანსი, მათი საქმე ქვეყნის შიგნით მოგვარდეს და არ ელოდონ სტრასბურგს, ჩვენ, სახელმწიფო ვართ აქ, რათა მათ უფლებებთან დაკავშირებული პრობლემა მოვაგვაროთ მოკლე ვადაში, – დასძინა წულუკიანმა.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე გამოძიება განახლდა

დეპუტატი გიორგი ჟვანია პროკურატურაში მისი ძმის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დაკითხვაზე იმყოფებოდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ გიორგი ჟვანიამ განუცხადა, გამოძიება უკვე დაწყებულია და პროკურატურას არსებული მასალები მიეწოდა.

როგორც ცნობილია, გარდაცვლილი პრემიერის ოჯახი მიიჩნევს, რომ ზურაბ ჟვანია მოკლულია. ამასთან, გიორგი ჟვანიამ რამდენიმე ხნის წინათ განაცხადა, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ინსცენირებაში მიხეილ სააკაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით მონაწილეობდნენ ზურაბ ადეიშვილი, ვანო მერაბიშვილი და გიორგი ბარამიძე.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის გამოძიება ქვეყნის პრესტიჟია, – ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა განუცხადა. მისი თქმით, ქვეყანა გათავისუფლდა პოლიტიკური ზეწოლისგან და წნეხისგან და ძალიან ბევრი ადამიანი გამოჩნდება, რომელიც ისაუბრებს კონკრეტულ ფაქტებზე ამ საქმესთან დაკავშირებით.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გთხოვთ ყურადღებას!

ეს სოფლის აღორძინებას სასიკეთოდ წაადგება

ბატონო ბიძინა, უწინარესად გულითადად და გულწრფელად გილოცავთ პრემიერ-მინისტრის მაღალი პოსტის დაკავებას. გისურვებთ წარმატებებს და ღრმად ვართ დარწმუნებულნი, თქვენი ჭეშმარიტად მამულიშვილური, უკვე ნაცადი საქმიანობის წყალობით, საქართველოში მტკიცედ დამკვიდრდება მართვის დემოკრატიული პრინციპები, სამართლიანობა და წესრიგი, გაუმჯობესდება ხალხის ცხოვრების დონე, რაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის წინსვლას.

თავის მხრივ, სოფლისა და აგრარული სექტორის აღორძინებაში დიდია კოოპერაციის როლი, რის თაობაზეც გვქონდა საქმიანი კონკრეტული მსჯელობა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 15 ნოემბრის ნომერში.

კოოპერატივების დაფუძნება-განვითარებას დღეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მრავალი ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, თუ როგორ უწყობს ხელს კოოპერატივების განვითარება მოსახლეობის დიდი ნაწილის აქტიურ ჩართვას ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში.

სამწუხაროდ, ჩვენთან გამოუყენებელია კოოპერატივების შესაძლებლობანი. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, სოფლის აღორძინების სამთავრობო პროგრამაში აქტიურ ჩართვას, სამწუხაროდ, ვერ შეძლებს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემა, რადგან მას პრაქტიკულად არ შეუძლია, შეასრულოს მისთვის დამახასიათებელი ფუნქცია. მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა ბოლო წლებში, როცა ხელისუფლებამ კანონდარღვევით, ზეწოლით მიითვისა და იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაასხვისა (ზოგჯერ გააჩუქა) ცეკავშირის სისტემის სავაჭრო, სამრეწველო, სამშენებლო, სასაწყობო-სამაცივრო, სასწავლო, საკურორტო და სტრატეგიული დანიშნულების სხვა მრავალი ობიექტი. ხელისუფლების ხელშეწყობით და წაყრუებით ხელმძღვანელი თანამდებობები დაიკავეს სისტემისათვის უცხო, არაპროფესიონალმა მუშაკებმა. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის ჩართვა სოფლის აღორძინების სამთავრობო პროგრამის რეალიზაციაში შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის – ცეკავშირის საფუძვლიანი რეფორმირებით (დემოკრატიული გზით ცეკავშირის მართვის ორგანოების ხელახალი არჩევა, სისტემის დეპოლიტიზაცია; სახელმწიფოსაგან კანონდარღვევით და ზეწოლით მითვისებული ქონების დაბრუნება ან კომპრომისის დაშვება – კოოპერაციას განესაზღვროს წილი მითვისებული ქონების საწესდებო კაპიტალში; მეპაიეებზე ქონების გადაცემა, პროფესიონალი, პატრიოტი მუშაკები, რომელთა რიცხვი არცთუ ისე მცირეა. მათ უდიდესი სურვილი აქვთ, საუკეთესო წარსულისა და ტრადიციების მქონე ორგანიზაცია კვლავ ჩააყენონ ქვეყნისა და ხალხის სამსახურში, შემუშავებული აქვთ სათანადო მიზნობრივ-კომპლექსური პროგრამა.

შესაძლებელია მივმართოთ მეორე გზას – სრულიად ახალი მრავალდარგოვანი კოოპერატივების ორგანიზებისთვის საჭირო სტრუქტურის – კოოპერატივების ხელშემწყობი ცენტრებისა და მათი რეგიონული ფილიალების შექმნას. მიახლოებითი პროგნოზული გაანგარიშების თანახმად, 2 წლის მანძილზე დაფუძნდება 300-ზე მეტი მრავალდარგოვანი სოფლის კოოპერატივი, 12000-ზე მეტი დამატებითი სამუშაო ადგილით.

ბატონო ბიძინა, გავკადნიერდებით და მოგმართავთ თხოვნით, დაავალოთ სათანადო სამსახურებს, განიხილონ ჩვენი მოსაზრებები, რათა სამომხმარებლო კოოპერაცია აქტიურად ჩაერთოს სოფლის აღორძინების სამთავრობო პროგრამის განხორციელებაში, მიიღოს ხელისუფლებისა და პირადად თქვენი მხარდაჭერა. ამით თქვენ კიდევ ერთი ეროვნული მნიშვნელობის საკითხის მოგვარებას – სამომხმარებლო კოოპერაციის აღდგენა-აღორძინებას შეუწყობთ ხელს.

ღრმა პატივისცემით

ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს

მამია ჟუმბურიძე, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, მეპაიე; ნაირა ხუციშვილი, ეკონომიკის დოქტორი, ცეკავშირის რეფორმების სამმართველოს ყოფილი უფროსი, მეპაიე; გოგი ცძვიტარია, აფხაზოკოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე, დევნილი; ავთანდილ ზოიძე, აჭარკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე დამზადების დარგში; ომარ ჩიკვაიძე, ცეკავშირის კომერციის დეპარტამენტის უფროსი; ანზორ ძუთათელაძე, ბიზნესმენი, მეპაიე; დავით ალექსიძე, თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის მეპაიე; თეიმურაზ ალანია, ცეკავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე; მზია ებრალიძე, თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე; ევგენი ჟვანია, ცეკავშირის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი; პაატა ბარბაძაძე, ხაშურის რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარე; რევაზ სანდროშვილი, ცეკავშირის შპს „ერდო-94-ის“ დირექტორი; თამაზ კევლიშვილი, საგარეჯოს რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე; დარეჯან ცუცაძირიძე, საჩხერის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე; ია მურუსიძე, ცეკავშირის კადრების დეპარტამენტის უფროსი; დავით სუმბაძე, ცეკავშირის შპს „საქკოოპსერვისის“ ყოფილი უფროსი; გრიგორი მგდესიანი, ნინოწმინდის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე; დავით გეწაძე, ზესტაფონის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე; ბეჟან უგულავა, ხონის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე; თოროს ელბაძიანი, ახალციხის რაიკოოპერატივის მეპაიე; ზურაბ დანელია, მარტვილის სამომხმარებლო კოოპერატივის დირექტორი; გურამ ლეფსვერიძე, თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივ „ცოდნა-94-ის“ დირექტორი; ბესლან ჯოხარიძე, სიღნაღის რაიკოოპერატივის მეპაიე; თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის მეპაიეები: ელისაბედ გოგიძე, ჯემალ ცარციძე, სულხან ხარაზიშვილი, რომან გოგრონიძე, თამაზ ძურიძე, ჟიული გოგბერაშვილი; როსტომ მაგრაძველიძე, ასპინძის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე; ვაჟა ტოტოღაშვილი, კოჯრის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე და სხვები, სულ 40 ხელმოწერა.

◎ იმედი ბოლოს კვდება?

უნივერსიტეტი ხელისუფლებისგან შველას ითხოვს!..

პირველმა ოქტომბერმა იმედი გააჩინა სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენისა. პრობლემები ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში გვაქვს. მე ამჯერად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბედზე ვისაუბრებ.

რევოლუციის გზით მოსულმა ნაციონალურმა ხელისუფლებამ ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აირჩია. სამინისტროს იმუამინდელმა მაღალჩინოსანმა (გიგი თევზაძემ) საჯაროდ განაცხადა, ჩვენ ჯავახიშვილის უნივერსიტეტთან არ ვითანამშრომელებთო; მინისტრმა კახა ლომაიამ დაიქადნა, ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვძირკვავთო. „კმარა“ ფორმაში იყო... (თუ რატომ აირჩიეს სამიზნედ უნივერსიტეტი, ამაზე გვისაუბრია ადრე, თუმცა ახლა დროს დავზოგავ)...და შედეგები კატასტროფული მივიღეთ:

დაიწყო გაუმართლებელი და გაუაზრებელი სტრუქტურული ცვლილებები; გაუქმდა კათედრები, სანაცვლოდ იმუამად არაფერი შექმნილა; ამ სფეროში ახლაც ქაოსია – ერთსა და იმავე სტრუქტურულ ერთეულს ერთ ფაკულტეტზე კათედრა ჰქვია, მეორეზე ქვემიმართულება, მესამეზე დეპარტამენტი და დებულება არც ერთს არა აქვს...

2005 წელს უნივერსიტეტში გაუქმდა სამეცნიერო სექტორი (დაიხურა ლაბორატორიები, კაბინეტები, ცენტრები). უმუშევარი დარჩა ათასზე მეტი მეცნიერ-მუშაკი... სწორედ ეს პროცესი შეაფასა აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ „ივანე ჯავახიშვილის მესამე სიკვდილად“... თუმცა, მთავარი წინ გველოდა თურმე...

2006 წლამდე უნივერსიტეტის აკადემიურ სექტორში 4000-მდე თანამშრომელი იყო; 2006 წელს კონკურსი გამოცხადდა 700 ვაკანტურ ადგილზე! 3000-ზე მეტი კაცი ქუჩაში აღმოჩნდა!... თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იმ 700 კაციდან ბევრი გარედან მოვიდა, შეიძლება ითქვას, რომ ახალი უნივერსიტეტი აღმოჩნდა – „ნაშთი ძველი დიდებისა“...

მიიღეს მანკიერი კანონი განათლებისა და მერე ამ კანონსაც აღარ იცავდნენ. 2005-2006 წლებში საუნივერსიტეტო მოძრაობის მთავარი დევიზი იყო – „რეფორმა მოექცეს კანონის ფარგლებში“... ხელისუფლება არავის უსმენს...

შედეგი: დაინგრა უნივერსიტეტი; გაქრა ტრადიციული სპეციალობები, დარგები... ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან:

ძველი ქართული ენის კათედრაზე (რომელსაც აკაკი შანიძის კათედრასაც ეძახდნენ), „რეფორმამდე“ 20-ზე მეტი თანამშრომელი იყო (პროფესორ-მასწავლებელი, მეცნიერი მუშაკი...); ამჟამად სამი კაცია ამ კათედრაზე (დეპარტმენტს ეძახიან), მათგან მხოლოდ ერთია ქართული ენის სპეციალისტი. ასეთივე ვითარებაა სხვაგანაც, ჰკითხეთ ფიზიკოსებს, ქიმიკოსებს, მათემატიკოსებს... აღმოსავლეთმცოდნეებს, ისტორიკოსებს, უცხოური ენების სპეციალისტებს...

ცხადია, ყოველივე ეს უარყოფითად აისახა სასწავლო პროცესზეც; არაერთგზის დაიწერა და ითქვა: სწავლის დონე დაეცა...

მანკიერი სახე მიიღო კადრების შერჩევამ. ლომაია-ხუბუას დამკვიდრებული მთავარი პრინციპი ეს იყო: კონკურსები ჩატარდეს „ერთგულებისა და მორჩილების პრინციპით“. ეს იყო კლასიკური მაგალითი პოლიტიკური ნიშნით კადრების შერჩევისა: ვისაც განსხვავებული აზრი აქვს, ის რეფორმის, უნივერსიტეტის მტერია... და დაიწყო „სხვაგვარად მოაზროვნეთა“ (წითელი პროფესორების, კორუმპირებულების, ჩარეცხილების...) დევნა. საზოგადოებას ახსოვს: 2006 წელს (ივნის-ივლისში) სამჯერ შემოიყვანეს პოლიცია და პროფესორები გარეთ გაგვრეკეს... შედარებით აქტიურები პროკურატურაში გვატარეს; ბოლოს 9 პროფესორი გაგვასამართლეს ხულიგნობის მუხლით... ალბათ, ისიც გვახსოვს: „დაუმორჩილებელი პროფესორი“ გურამ შარაძე იმუამინდელმა რექტორმა გია ხუბუამ ციხეში ჩაასმევინა... 2006 წელს კონკურსი პოლიციის ზედამხედველობით ჩატარდა...

კონკურსების სფეროში დღესაც არაფერი შეცვლილა – ლომაია-ხუბუას სულისკვეთებით ტარდება; მთავარი ერთგულებისა და მორჩილების პრინციპია... ყვავის არაპროფესიონალიზმი (ქართული ენის ინსტიტუტში ენათმეცნიერს უარი უთხრეს და არაენათმეცნიერი აირჩიეს სრულ პროფესორად... და სხვა...)... ამ თემაზე საუბარი გრძლად შეიძლება, თუმცა, აქ შევჩერდეთ...

ამას წინათ განათლების მინისტრმა მიმართვა გაავრცელა; აი, ორიოდე ამონარიდი: „იმ ავტორიტარულ სისტემაში, რომელშიც ქვეყანა იმყოფებოდა, ყველა მხარე სისტემის მსხვერპლია. ჩვენი პოლიტიკა რადიკალურად განსხვავებულია და გვინდა, რომ მთელს საზოგადოებაში და განსაკუთრებით განათლების სფეროში პოლიტიკური ნიშნით დაყოფა აღარ მოხდეს... **არ არის სასურველი დავა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადატანილი იქნეს სასამართლო სივრცეში**... მათ კი, **ვინც ბოლო 2-3 კვირის განმავლობაში ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას ვერ შეძლებს**, მე ვთავაზობ მეორე საშუალებას: **სამინისტროსთან შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც არსებულ დავებს შეისწავლის და ჩემთან ერთად შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს“.**

დიახ, თითქოს გაჩნდა იმედი სამართლიანობის აღდგენისა, მაგრამ ასე არ ფიქრობს არჩილ კუკულავა (თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსია)! „აკადემიური თანამდებობის დაკავებაზე თითოეულ კონკურენტთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (უარყოფითიც) სამართლებრივად საფუძვლიანი და დასაბუთებულია, ყოველივე ეს კი გამორიცხავს პოლიტიკურ დატვირთვას... რექტორატი ვერ ხედავს რაიმე სახის კომისიის შექმნის აუცილებლობას“ („საქართველოს რესპუბლიკა“, № 224, 2012).

თურმე ნუ იტყვით და, რა შუაშია მინისტრის განცხადება, როცა არსებობს „კუკულავას სამართალი“. ეს ის ცნობილი ლომაია-ხუბუას სამართალია, რომელსაც კანონიერებასთან არაფერი აქვს საერთო... „კუკულავას სამართლით“, ალბათ, პოლიციის შემოყვანაც კანონიერი იყო, სპეციალობების გაუქმებაც და ა.შ... როგორც ჩანს, ბატონი რექტორიც ასე ფიქრობს, რადგან რექტორატის სახელით საუბრის უფლებას აძლევს კუკულავას... და ზის ბატონი რექტორი მშვიდად ივანე ჯავახიშვილის სავარძელში...

ისე, ერთ რამეში ვეთანხმებით „კუკულავას სამართალს“: რომც მოხდეს ერთი-ორი პროფესორის აღდგენა, უნივერსიტეტს არ უშველის... უნივერსიტეტი ფაქტობრივად თავიდან უნდა აშენდეს. ამას წინათ „საუნივერსიტეტო დარბაზის“ სახელით განცხადება გავაკეთეთ. ვთქვით, აუცილებელია, გამოცხადდეს გარდამავალი პერიოდი, შეიქმნას დროებითი მმართველობა... დეტალურად უნდა მოხდეს შესწავლა, რა წახდა, რა უნდა აღდგეს, როგორი უნდა იყოს სტრუქტურა უნივერსიტეტისა და ა. შ. და ა. შ... დღესაც ამ აზრისა ვართ; მეტიც, ეს აზრი კიდევ უფრო განგვიმტკიცდა. სხვა გზას უნივერსიტეტის გადარჩენისას ჩვენ ვერ ვხედავთ... არადა, უნივერსიტეტი უნდა გადარჩეს... იგი შველას ითხოვს ხელისუფლებისაგან...

ისე კი, საკადრისი უნდა მიეზღოს ყველას, ვინც ხელი აღმართა უნივერსიტეტზე, ვინც დაუნდობლად განადგურა დიდ წინაპართა მიერ რუდუნებით ნაგები უპირველესი ტაძარი XX საუკუნისა...

და ჩვენც ყურადღებას ვთხოვთ ხელისუფლებას!..

ყოველი დაკარგული დღე პრობლემას დაამძიმებს...

გიორგი გოგოლაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

იუსტიციის სამინისტროსა და მთავარ პროკურატურაში თანამდებობაშენარჩუნებული პირების საქმიანობის ირგვლივ for.ge-ს ადვოკატი მამუკა ნოზაძე ესაუბრა. ინტერვიუში ორ ათეულამდე თანამდებობის პირია დასახელებული, რის გამოც ინტერვიუს მოცულობა ჩვეულებრივზე დიდია.

მამუკა ნოზაძე: მაგალითად შემიძლია დავასახელო **გოგა გუგავა,** იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი; **თამარ თომაშვილი,** ამავე სამინისტროში საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი; **ბაბუცა პატარაია,** იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის თანამშრომელი და **მალხაზ სხირტლაძე,** იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელი. ეს ადამიანები არჩევნების წინ, სამინისტროს თითოეულ თანამშრომელს მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს უგზავნიდნენ, რომ ხმა „ნაცმოძრაობისთვის“ მიეცათ. ისინი სამინისტროს თანამშრომლებს აშანტაჟებდნენ იმით, რომ „ქართული ოცნება“ ქურდების პარტია იყო და თუ ეს პოლიტიკური ძალა გაიმარჯვებდა, საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა, ხელისუფლების სათავეში კი ქურდები მოვიდოდნენ.

— რით შეგიძლიათ დაადასტუროთ ის, რასაც ახლა ამბობთ?

— ეს ინფორმაცია სამინისტროს თანამშრომლებისგან მაქვს. ამ და ქვემოთ ვისაც ჩამოვთვლი, იმ პიროვნებებზე ჩემი განცხადებების გადამოწმება იუსტიციის მინისტრს და მთავარ პროკურორს ძალიან მარტივად, მაგალითად, გენერალური ინსპექციის საშუალებით შეუძლიათ. სამინისტროს და პროკურატურის თანამშრომლები მზად არიან ახსნა-განმარტების მისაცემად.

ლევან მესხორაძე — იუსტიციის სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სასამართლოებში საქართველოს სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის თავმჯდომარე. მის შესახებ თეა წულუკიანს მინისტრად დანიშვნისთანავე მივმართე და მივუთითე, რომ ეს პიროვნება წლების მანძილზე უკანონობას სჩადიოდა. კერძოდ, მამუკა ალადაშვილს, მამუკა კოჭლამაზაშვილსა და ვალერიან ბალიაშვილს სწორედ იუსტიციის სამინისტროში მომზადებულ ტექსტებზე მოაწერინა ხელი ე.წ. რეზბალნიცის ყოფილმა დირექტორმა **ვაჟა ცხვედიანმა,** რომელიც წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაშია მხილებული და იძებნება. ამ უკანონობაში, აგრეთვე, მონაწილეობდნენ **გაგა მკურნალიძე** და **დავით ხუჭუა.**

ზემოხსენებულ სამ პიროვნებას გამოატანინეს საჩივარი ევროპული სასამართლოდან. ეს მესხორაძის გარეშე ვერ გაკეთდებოდა, რადგან არც ერთი ციხის დირექტორმა არ იცის, რომელი საქმე რა ნომრითაა რეგისტრირებული ევროპულ სასამართლოში. განცხადებების შინაარსი ლევან მესხორაძემ მოამზადა და მისი მეშვეობით მოხდა პატიმართა წერილების გაგზავნა სტრასბურგში. სხვათა შორის, ამ საქმეზე გამოძიების დაწყებას ვითხოვ. კოჭლამაზაშვილის და ალადაშვილის დაკითხვის თაობაზე თეა წულუკიანს მივმართე. ისინი დაკითხვას ითხოვენ და დააკონკრეტებენ როგორ აწამეს, სტრასბურგიდან საჩივარი რომ გამოეტანათ. მე ხელს ვადებ ლევან მესხორაძეს. გამოძიებამ უნდა დაადგინოს სად დაიწერა წერილები, რომელზეც პატიმრებს ხელი მოაწერინეს. მესხორაძე თანამდებობას ინარჩუნებს, ადამიანი რომელიც ადეიშვილის და თინა ბურჯალიანის მონა-მორჩილი იყო. ის გამოდიოდა გირგვლიანის პროცესზე და უტიფრად ამტკიცებდა ისეთ რაღაცებს, რაც რეალურად არ ყოფილა.

ახლა მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებს ჩამოვყვები და იმას გეტყვით, ვინ ვისი რეკომენდაციით არის მისული სამსახურში:

თამარ ჩუბინიძე მთავარი პროკურატურის აპარატის უფროსი და, ამავდროულად, გიორგი გაბრიელაშვილის მეუღლეა. გაბრიელაშვილი სამოქალაქო რეესტრის ყოფილი უფროსია. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ იგი გაათავისუფლა. თამარ ჩუბინიძეს პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული არ აქვს. ეს პიროვნება პრემიებს განუსაზღვრელად იწერდა. ამავდროულად, პრემიებს სხვა პირებსაც უწერდა და წილში უდგებოდა — მაგალითად, 5 000-ლარიან პრემიას გამოუწერდა და აქედან 2 500-სს თავად იტოვებდა.

— ამ კონკრეტულ შემთხვევაზეც იმავეს გკითხავთ.

— მეც იმავეს გიპასუხებთ — გამოწერილი პრემიები გადაამოწმონ, გამოკითხონ ის თანამშრომლები, რომლებმაც პრემიები მიიღეს, მათ შორის დაუმსახურებლად და რასაც გეუბნებით, იმას დაადასტურებენ. პლუს ამას, თამარ ჩუბინიძე **ზურაბ ადეიშვილისა** და მისი ყოფილი მოადგილის **ნონა წოწორიას** მარჯვენა ხელი იყო. ისე, ადეიშვილს ბევრი „მარჯვენა ხელი“ ჰყავდა. ჩუბინიძე პროკურატურაში წოწორიამ მიიყვანა. **წოწორია ამჟამად ევროპულ სასამართლოში საქართველოს წარმომადგენელი, ანუ საქართველოდან წარგზავნილი მოსამართლეა.**

მარიკა მარიკაშვილი — უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **მიშა ჩინჩალაძის** მეუღლეა. ამჟამად მარიკაშვილი აგრძელებს მუშაობას მთავარი პროკურორის პირველი კატეგორიის მრჩევლის თანამდებობაზე. მას მთავარ პროკურატურაში აბსოლუტურად არანაირი ფუნქცია არ აქვს. მიუხედავად ამისა, განუსაზღვრელად დიდი ოდენობის ხელფასს და პრემიებს იღებს. **მიშა ჩინჩალაძე კი იყო ადეიშვილის ნება-სურვილის, ყველა დაკვეთის შემსრულებელი. ამასთან, მიშა ჩინჩალაძე ადმინისტრაციული პალატის თავმჯდომარეა და საქმეების 99%, სადაც ხელისუფლების ინტერესი გამოკვეთილი იყო, მოქალაქეთა წაგებით სრულდებოდა.** მიშა ჩინჩალაძე თავისი ზონდერმოსამართლეებით მართავდა სასამართლო სისტემას. მისი მეუღლე ადეიშვილმა სწორედ ქმრის მონური ერთგულების გამო დაასაქმა მთავარ პროკურატურაში.

შორენა ირემაძე — თბილისის ყოფილი პროკურორის მამუკა გვარამიას მდივანი იყო. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, გამოცდა არც მას აქვს ჩაბარებული და, მგონი, იურისტიც არ არის, მაგრამ ამჟამად მთავარი პროკურორის პირველი კატეგორიის მრჩეველია. არჩევნების შემდეგ, სასწრაფო წესით მთავარ პროკურატურაში გადაიყვანეს.

პროკურორი **თენგიზ ჭითაშვილი** — თბილისის ყოფილი მთავარი პროკურორის მამუკა გვარამიას ბიძაა. **ჭითაშვილი საპროცესო გარიგებების დიდოსტატი გახლდათ.** უკანონო მეთოდების გამოყენებით ჭითაშვილი საპროცესოებს მხოლოდ და მხოლოდ „ნაციონალებისადმი“ ლოიალურად განწყობილ პირებთან აფორმებდა.

სოსო არჩვაძე, მეტსახელად „სიკვდილა“ — მთავარი პროკურატურის კადრების უფროსია. მას უცხოეთში კონკრეტული დავალებებით აგზავნიდნენ. **ის ადეიშვილის და მურთაზ ზოდელავას ხელის ბიჭი იყო. ეს პიროვნება ადეიშვილის მითითებით პროკურორებზე ზეწოლას ახდენდა — სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადებებს აწერინებდა.**

დოკუმენტები მიხეილ სააკაშვილთან უშუალოდ სოსო არჩვაძეს მიჰქონდა. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ახალი ხელისუფლების მიერ პროკურატურიდან გაშვებულ კადრებს „სიკვდილამ“ ურჩია ძველ მოწმობებს კარგად გაფრთხილებოდნენ, რადგან რამდენიმე თვეში მისი განმარტებით, ხელისუფლების სათავეში ისევ ძველები მოვიდოდნენ.

— „სიკვდილა“ იმავე თანამდებობაზეა?

— დიახ, ისევ კადრების უფროსია. მე ვისზეც გელაპარაკებით, ესენი ყველანი თანამდებობებზე არიან. სანამ ინტერვიუს მოგცემდით, მთავარი პროკურატურიდან საჯარო ინფორმაცია გამოვითხოვე და სწორედ ბოლო მონაცემებზე დაყრდნობით გესაუბრებით. **ქეთევან არჩვაძე მურთაზ ზოდელავას მდივანი იყო. ზოდელავას გაუჩინარების შემდეგ ეს ქალბატონი მთავარი პროკურორის მეორე კატეგორიის მრჩეველად გადაიყვანეს. ნინო ბიჭაშვილიც მთავარი პროკურორის მეორე კატეგორიის მრჩეველია.** ის არის მთავარი პროკურორის ყოფილი პირველი მოადგილის, ამჟამად პარლამენტარ დავით საყვარელიძის მეგობრის ცოლი, რომელიც ზემოხსენებულ თანამდებობაზე მხოლოდ იმ ნიშნით გაამწესეს, რომ „ნაცმოძრაობის“ აქტივისტი იყო. ჩემთვის გაურკვეველია, რა და როგორ უნდა ურჩიონ დღევანდელ მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს (რომელიც კვალიფიციურ იურისტად და ღირსეულ ადამიანად მიმაჩნია) მისი წინამორბედის მდივნებმა, „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებმა და, რაც მთავარია, ამ უმაქნის ადამიანებს ჩვენი ჯიბიდან ხელფასები რატომ უნდა უხადონ?!

— თქვენი აზრით, რა უნდა გაეკეთებინათ, ერთი ხელის მოსმით ყველა გაეთავისუფლებინათ?

— ამ ადამიანების წარსული საქმიანობა უნდა შეესწავლათ და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიეღოთ. 3 300-მდე ადამიანმა გამოთქვა პროკურატურაში მუშაობის დაწყების სურვილი. მათ შორის ძალიან ბევრი კვალიფიციური ადვოკატი იყო, მაგრამ მათგან დასაქმებული ვერავინ ვნახე, **კახა წერეთლისა** და **გია პაპუაშვილის** გარდა (ახლო წარსულში პროკურატურაში მუშაობდნენ. წერეთელი ადვოკატობის დროსაც პროკურატურის ნება-სურვილის აღმსრულებელი იყო). საქართველოში, საბედნიეროდ, არის საიმისო რესურსი, რომ ეს თანამდებობები კვალიფიციურ ადამიანებს დაეკავებინათ. ისინი სახელმწიფოს ღირსეულად მოემსახურებოდნენ. როდესაც ჩემთვის, ადვოკატისთვის გახდა ცნობილი, თუ ვინ რის გამო და ვისი მეშვეობითაა დანიშნული კონკრეტულ თანამდებობაზე, წესით, ახალ მინისტრსა და მთავარ პროკურორს ამის გაგება არ უნდა გასჭირვებოდათ.

— გავაგრძელოთ ჩამონათვალი.

— თამარ აღლემაშვილი — მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი. იგი ვანო მერაბიშვილის ნათესავი და „ნაცმოძრაობის“ აქტივისტია. თანამდებობაზეც ამ ნიშნით დანიშნეს. **ნინო იარალიშვილი — საკადრო უზრუნველყოფის სპეციალისტი.** იგი „სიკვდილას“ კადრად ითვლება, რადგან სამსახურში მან მიიყვანა. ეს ადამიანი საზოგადოებრივ მისაღებში ზის და უშუალოდ აკონტროლებს, თუ ვინ ვისთან შედის პროკურატურაში, ვინ ვის ესაუბრება და რა საკითხებზე შედის საჩივრები, ანუ „სიკვდილა“ პროკურატურაში მიმდინარე მოვლენებს ნინო იარალიშვილის მეშვეობით აკონტროლებს, ეს ქალბატონი ინფორმატორის ფუნქციას ასრულებს.

ირაკლი ჩილინგარაშვილი — მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, ადეიშვილისა და ზოდელავას მარჯვენა ხელი იყო. ეს ადამიანი საზოგადოებას, მათ შორის, ადვოკატებს საჯარო ინფორმაციას უმალავდა. საჯარო ინფორმაციაზე უარი ჩემთვისაც არაერთხელ უთქვამს.

პროკურორი ირაკლი კობალაძე — განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილის, „ნაცმოძრაობის“ გულმხურვალე მხარდამჭერის ირინა ქურდაძის მეუღლე. ირინა ქურდაძის ძმა ბანკ „ქართუში“ მუშაობდა და მან 1 ოქტომბრამდე თანამდებობა ვითომდა მასზე განხორციელებული ზეწოლის გამო დატოვა.

ვალერი გრიგალაშვილი და თამარ პაპავა - ეს ორი პროკურორი სულხან მოლაშვილის საქმეში ბრალდების მხარდამჭერ პროკურორებად გამოდიოდნენ. მოგეხსენებათ, რომ ევროპულ სასამართლოში მოლაშვილის სარჩელის განხილვა დასრულებულია. ასევე ცნობილია ის უკანონობა და უსამართლობა, რაც მოლაშვილთან მიმართებაში ხელისუფლებამ სწორედ ვალერი გრიგალაშვილის და თამარ პაპავას მეშვეობით განახორციელა. ეს ორი ადამიანი მუშაობას ჩვეულებრივად აგრძელებენ. **პროკურორი თეონა გურგენაშვილი - თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხდომის მდივანი გახლდათ**. იგი სააპელაციოს მოსამართლე მანანა ოთარაშვილის დისშვილია. ეს მოსამართლე ხელისუფლების მონა-მორჩილი და მათი ნების შემსრულებელი იყო. მას უამრავი უკანონო განაჩენი აქვს გამოტანილი, რის გამოც საბრალდებო სკამზე უნდა დაჯდეს. მას წინა ხელისუფლებამ ამაგი დაუფასა - დისშვილი პროკურორად დანიშნეს.

პროკურორი მანანა ცაავა — პროკურატურაში შევარდნაძის დროიდან მუშაობს. მისი შვილიც პროკურორია. ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ, **მანანა ცაავას მიმართ ქრთამის აღებებთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურაში არაერთი საჩივარია შესული, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, რადგან მფარველად როლანდ ახალაია ჰყავდა.**

ირაკლი ჟვანია, ლევან ბაჩიაშვილი, მადონა ურუშაძე - ციხეებზე ზედამხედველი პროკურორები. მათთვის კარგად იყო ცნობილი რა ხდებოდა საპატიმროებში, იქ არსებულ უკანონობებზე, წამებებზე, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობაზე პროკურატურაში უამრავი საჩივარი შედიოდა, მაგრამ ამ სამი ადამიანის მხრიდან რეაგირება მხოლოდ საქმეების თაროებზე შემოდებით შემოიფარგლებოდა.

ნიკოლოზ ჭინკორაშვილი — უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და სისხლის სამართლებრივი დევნის დეპარტამენტის უფროსი, წინა ხელისუფლების ყოფილი რეკეტიორი. ეს პიროვნება საპროცესო გარიგებებს შანტაჟისა და დასჯის საფუძველზე აფორმებდა, განსაკუთრებით ბიზნესმენებთან და მეწარმეებთან. **სწორედ ჭინკორაშვილი აძალებდა ადამიანებს საჩივრების გამოტანას, არჩადენილი დანაშაულის აღიარებას.**

უკანონობას და უსამართლობას მათ შორის ისინიც ახორციელებდნენ, რომლებიც ჩამოვთვალე. 1 ოქტომბერს ქართულმა საზოგადოებამ არ მისცა ხმა იმას, რომ ის პირები, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ მონური მორჩილების, ამავე ორგანიზაციის აქტივისტობის, მეგობრობისა და მეუღლეობის გამო იყვნენ დანიშნულები, დარჩნენ თანამდებობებზე. მათი მეშვეობით ახალი ხელისუფლება სამართლიანობას ვერ აღადგენს, რადგან როდესაც ადამიანი წლების განმავლობაში ემსახურება უკანონობას, უსამართლობას, არის რეჟიმის ერთ-ერთი ჭანჭიკი და ამ ჭანჭიკის მეშვეობით ხორციელდბოდა ხალხის დაშანტაჟება, დღეს ეს ადამიანი ვერ იქნება სამართლის სადარაჯოზე, ანუ სავლე პავლედ ვერ გადაიქცევა.

— ხომ არ აპირებთ წერილობით მიმართოთ მინისტრს, მთავარ პროკურორს?

— იუსტიციის მინისტრს მივმართე და შეხვედრა მოვითხოვე. ადმინისტრაციის მეშვეობით კონკრეტული გვარების წარდგენა მთხოვა და მაცნობა, რომ ამ შემთხვევაში მოხდება კონკრეტული ფაქტების განხილვა. ამგვარი ფაქტების შესახებ ინტერვიუ მედიასაშუალებებს უკვე მივეცი, ახლა თქვენთან კონკრეტული გვარები პირველად დავასახელე. პროკურორებთან მიმართებაში სხვა ადვოკატებსაც აქვთ პრეტენზიები, რასაც საჯაროდ გამოხატავენ. ვიმედოვნებ მთავარი პროკურორი და იუსტიციის მინისტრი ადეკვატურ რეაგირებას მოახდენენ.

— თუ არაფერი შეიცვლება, ამას რა შეიძლება მოჰყვეს?

— ეს იქნება საზოგადოების შეურაცხყოფა, რითაც ხელისუფლება მნიშვნელოვნად დაკარგავს საზოგადოების იმ ნდობას, რაც მათ 1 ოქტომბერს გამოუცხადეს. საზოგადოებამ უნდა იბრძოლოს, არ უნდა გავჩერდეთ. „ნაცმოძრაობამ“ არჩევნები სწორედ ამგვარი პროკურორების გამო წააგო და არა ვიღაცის პოლიტიკური პლატფორმის გამო. 1 ოქტომბერს ხალხმა ხმა ამ პროკურორების და იმ მოსამართლეების წინააღმდეგ მისცა, რომლებიც სასამართლოებში დღესაც მართლმსაჯულებას ახორციელებენ. ეს ყველაფერი თუ ასე დარჩა, შედეგი ამომრჩევლის შემდგომ ქმედებებზე, მომავალ არჩევნებზე აისახება. ახალი ხელისუფლება ვალდებულია ხალხის დაკვეთა შეასრულოს.

ნინო მიქიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გია კრიალაშვილის საქმე

როგორ მოკლეს გენერალი?..

მუხროვანის ე.წ. ამბოხების საქმესთან დაკავშირებით სპეცოპერაციისას დაღუპული გია კრიალაშვილის ოჯახი საქმის გამოძიების მოთხოვნით პროკურატურას მიმართავს. საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილ გენერალ გია კრიალაშვილის და ლია კრიალაშვილი ითხოვს, გამოძიებამ მისი ძმის დაღუპვის რეალური მოტივი დაადგინოს.

კერძოდ, ლია კრიალაშვილს აინტერესებს, მართლაც იმყოფებოდა თუ არა გია კრიალაშვილი მუხროვანში და სად ჰყავდათ სპეცოპერაციამდე ორი კვირით ადრე. ლია კრიალაშვილის სარჩელზე პასუხი მით უფრო საინტერესოა, რომ სულ ახლახანს რამდენიმეწლიანი დუმილი დაარღვია მუხროვანის საქმის მთავარმა მოწმემ გია ღვალაძემ, რომელმაც თავის მიერ მიცემული ცრუ ჩვენების გამო დაკავებულ ყველა პირს ბოდიში მოუხადა და პროკურატურას დაკითხვა სთხოვა.

For.ge ლია კრიალაშვილს ესაუბრა.

— ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამ თემას. დღეს გამოქვეყნდა ღვალაძის ინტერვიუც (რომლის ფარული ჩანაწერის საფუძველზეც დააკავეს მუხროვანის ე.წ. ამბოხებაში მონაწილე ბიჭები), რომელიც, ფაქტობრივად, ჩვენებას აძლევს, თუ როგორ დააწერინეს აღიარება, როგორ ალაპარაკეს. ეს იყო სცენარი გიას მოსაკლავად, რადგან გია კრიალაშვილი ავტორიტეტული პიროვნება იყო ჯარში.

— გია კრიალაშვილი თქვენი სახლიდან გაიყვანეს.

— ჩვენს სახლში ცხოვრობდა გია. იმ ღამესაც ნარდს ეთამაშებოდა ჩემს მეუღლეს. გამთენიისას, სადღაც ხუთის წუთებზე, ჩემი მეუღლე დაწვა და გია კიდევ ჩემს გოგონას ნარდს ეთამაშებოდა.

— ცნობილია, რომ მოულოდნელად მას ვიღაცამ დაურეკა. ხომ არ გაგირკვევიათ, ვინ დაურეკა?

— ამას ვერ გავარკვევთ, სანამ გამოძიება არ ჩატარდება. ვერ ამოვიღებდით სატელეფონო ჩანაწერებს. მათ არც ტელეფონი დაუბრუნებიათ, არც ტანსაცმელი. რომც მომეთხოვა, ვინ გამცემდა პასუხს. გაიყვანეს გია და მას შემდეგ ცოცხალი აღარ მინახავს. ეს ხდებოდა 2009 წლის 5 მაისს.

ეს ყველაფერი 26 მაისის აღლუმის წინა პერიოდს უკავშირდებოდა, რადგან სამხედროები განიცდიდნენ აგვისტოს ომის შედეგებს და ამის გამო უარი თქვეს აღლუმში მონაწილეობაზე.

— როგორც ცნობილია, ამ ომში მათ მხედართმთავრის საქციელი არ მოსწონდათ.

— რა თქმა უნდა, არ მოსწონდათ ომის დროს მხედართმთავრის საქციელი. იმ ბიჭებს, ვინც ბოდიში და, ვერ დააჩმორეს და ვინც ვაუკაცებად თვლიდნენ თავს, ასეთი მხედართმთავარი არ უნდოდათ.

— მაგრამ აღლუმში მონაწილეობაზე მუხროვანში დისლოცირებულმა სატანკო და გაერთიანებული შტაბის რეინჯერებმა თქვეს უარი, თუმცა თქვენს ძმასთან რა უნდოდათ?

— ჩემი ძმა არსად არ მუშაობდა. საერთოდ, არ ცხოვრობდა საქართველოში, რამდენიმე დღის ჩამოსული იყო. იცით, რატომ მიაბეს ჩემი ძმის სახელი ამ თემას? იმიტომ, რომ ღვალაძეც წერს, ასე ითქვა, თუ არ მოვაშორებთ გია კრიალაშვილს, მას იმხელა ავტორიტეტი აქვს ჯარში, რომ ჯარს ვერ დავაჩმორებთო. ზუსტად ასე წერს ღვალაძე.

— სახლიდან აყვანის შემდეგ ის ტრაგიკული ფაქტი გლდანში მოხდა. გია კრიალაშვილის დაღუპვის საეჭვო ვითარება დღემდე გაურკვეველია. მართლაც ავტომანქანიდან გადაიყვანეს და სპეცნაზმა ესროლა?

— ესენი ამბობენ, სამივე მიდიოდა და ვითომ საქართველოს ტერიტორია უნდა დაეტოვებინათო. მათ კი თურმე მიაგნეს, როგორც ყველაფერს „აგნებდნენ“ და ყველაფერი „იცოდნენ“. თითქოს მოხდა ორმხრივი სროლა და იქ დაიღუპა ჩემი ძმა. სწორედ ამას არ ვეთანხმები და ამის არ მჯერა, რომ იქ ორმხრივი სროლა იყო, რადგან, სავარაუდოდ, ბიჭები აყვანილები არიან წინასწარ. სხვებზე არ ვიცი, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ ჩემი ძმა აყვანილი ჰყავდათ რამდენიმე ხნით ადრე, რადგან კაცი, რომელიც ვეებერთელა იყო, მოიყვანეს 40 კილო და თანაც, დაჩეხილი. ამას ტყვიით მოკლული არ ჰქვია. შესაძლოა, მერე მოკლეს ტყვიით, მაგრამ მანამდე, ალბათ, სხვა რაღაც დამართეს.

— აგვისტოს ომის თაობაზე თქვენი ძმის შეფასებები მკვეთრი იყო?

— რა თქმა უნდა, ძალიან მკვეთრი იყო. გამწარებული იყო და ამბობდა, არ უნდა ეპატიოს ამ ხელისუფლებას იმ ბიჭების სიკვდილი, დაჭრილების იქ დაყრა და სხვა. უწყლობით დაიხოცნენ იქ ბიჭები, თორემ რომ გამოეყვანათ, შეიძლება, გადარჩენილიყვნენო. იქ დაყარეს მიცვალებულებიც და დაჭრილებიც და ის დაჭრილებიც დაიხოცნენ. ალყაში დატოვეს ბიჭები და ისე გამოიქცნენ დღევანდელი გმირები — ისინი, ვისაც ჩვენი პრეზიდენტი და თეა თუთბერიძეები, წიკლაურები და სატანისტები ცოტნე დადიანებსა და გმირებს უწოდებენ.

— გია კრიალაშვილი აგვისტოს ომში არ მონაწილეობდა?

— იგი საზღვარგარეთ იმყოფებოდა, ომის პერიოდში კი ჩამოვიდა, მაგრამ, სანამ ის ჩამოვიდოდა, დღენახევარში ამათ ომი დაამთავრეს და იამაყეს კიდეც, ვითომ მოიგეს. შემდეგ გია სამაჩაბლოში წასულა, მოგვიანებით გავიგე ამის შესახებ და იქიდან ჩამოუსვენებია დახოცილი ბიჭები.

— გამოდის, მას ამ ომის დეტალების შესახებ თვითმხილველებისგან ყველაფერი ეცოდინებოდა.

— ალბათ, და შესაძლოა, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ ის არ სჭირდებოდათ.

— თქვენ აცხადებთ, რომ დაჭრილ გია კრიალაშვილს გივი თარგამაძე ურტყამდა.

— ზუსტად არ ვიცი, გია იმ დროს დაჭრილი იყო, თუ გარდაცვლილი. უფრო გარდაცვლილი მგონია, ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, რადგან მე მგონია, რომ გია შემოაკვდათ, მიიყვანეს და დააგდეს. ის, ვისგანაც გავიგე ეს ინფორმაცია, ამბობს, იქ ესროლესო. ეს ყველაფერი დაუდგენელი და ბურუსით მოცულია, მაგრამ ფაქტია, რომ მიცვალებულს თუ დაჭრილს წიხლებს ურტყამდა თარგამაძე, აგინებდა და აფურთხებდა. ტელევიზიითაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, თარგამაძე ფიზიკურადაც, სულიერადაც და ტვინითაც მახინჯია და მახინჯების დრო დამთავრდა-მეთქი. ვინ სად წავა, ახლა უნდა ვნახოთ და ყველა უნდა დაისაჯოს. ნუ მიიყვანენ იმ ზომამდე, რომ ხალხი ისევ ქუჩაში გამოვიდეს ამათ ჩასაქოლად.

— თქვენ აცხადებთ, რომ გიას სხეული დაჩეხილი, გულმკერდი და თავიც გადახსნილი ჰქონდა, ვისი ბრძანებით უნდა გაეკეთებინათ ეს?

— პირველ რიგში, ეჭვი მაქვს ჩვენს, ვითომ, პრეზიდენტზე. სპეცოპერაციის დროს იქ ყოფილა არა მარტო თარგამაძე, არამედ ახალაია, მერაბიშვილი. მოუხსენებია მერაბიშვილს, დაურეკავს პრეზიდენტისთვის და უთქვამს, თქვენი ბრძანება შესრულებულია, ბიჭები ლიკვიდირებულები არიანო. ვინ დავადანაშაულო? თითებზე ჩამოსათვლელი რამდენიმე კაცისგან შემდგარი ბანდა მართავდა სახელმწიფოს და მართლაც ამ გმირებს ხოცავდა.

— კობა ოთანაძეც იქ იყო? ისიც სასიკვდილოდ გასწირეს, თუმცა სასწაულებრივად გადარჩა.

— ოთანაძეც იქ იყო ვითომ, „მარშრუტკაში“. ამირიძეც იქ იყო და ესენი ამტკიცებენ, ერთად იყვნენო, მაგრამ ვერ ვიზიარებ ამ აზრს, რომ ეს სამი ერთად ყოფილიყო. ვფიქრობ, ესენი აყვანილები ჰყავდათ, გია შემოაკვდათ და ეს სცენარი დადგეს. ოთანაძე და ამირიძე რვა და ცხრა ტყვიით იყვნენ დაცხრილულნი. საბოლოოდ კი ერთად ჰყავდათ სამარშრუტო ტაქსში.

მანანა ნოზაძე

◎ ტარიფი

თუ დაიკლებს და - რამდენით?

კომუნალურების სუბსიდირების იდეას მაინცდამაინც არ იწონებენ

ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა აღიარა, რომ გაზისა და ელექტროენერგიის ტარიფების განახევრების შესახებ დაპირებები გადაჭარბებული აღმოჩნდა და ეს ვერ მოხერხდება. სამაგიეროდ, შესაძლებელია მისი სუბსიდირება. ამ ინიციატივას გარკვეული შეფასებები მოჰყვა როგორც „ქართული ოცნების“ წიაღიდან, ისე მის გარეთ.

„ჯორჯიან ბიზნეს ინსაითის“ დირექტორის ირაკლი ლექვინაძის შეფასებით, ტარიფების შემცირების საკითხის კუთხით „ქართული ოცნება“ მოუმზადებელი იყო. მისი აზრით, ტარიფების შემცირების რესურსი არსებობს, თუმცა არა - განახევრების.

„ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ ცოტა მოუმზადებელი იყო ამ საკითხის აქტივიზაციისას, რადგან არ იცნობდა იმ ინვესტორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, რაც გარე მხარისთვის ყოველთვის მიუწვდომელი იყო. რეალური სიტუაციის შემდეგ კი, როგორც ჩანს, დაპირების კორექტირება მოხდა. ჩემი აზრით, არსებულ რეალობაში ელექტროენერგიის, წყლის, გაზის ტარიფების შემცირების რესურსი არსებობს, საშუალოდ, 30%-35%-ით“, — განაცხადა ლექვინაძემ და დასძინა, რომ მნიშვნელოვანია ამ ტარიფების შემცირება კორპორატიული კლიენტებისთვის, ანუ კომპანიებისთვის, რაც ადგილობრივი პროდუქტის კონკურენტუნარიანობას გაზრდის.

ნახევრებაზე საუბარი არასდროს ყოფილა, ჩვენ ოპტიმალური ციფრიც კი გამოვიყვანეთ. საორიენტაციოდ, საუბარი იყო 10 თეთრზე, მომატებაზე ან დაკლებაზე, ზამთარ-ზაფხულის მიხედვით.

იგი თვლის, რომ დღესდღეობით, მაღალი ტარიფია წყალსა და შუქზე და მათი შემცირება შესაძლებელია, გაზზე კი — ყველაზე ნაკლებად.

„ქართულ ოცნებაში“ მომუშავე ექსპერტი დემურ გიორხელიძე კი მიიჩნევს, რომ გაზის ტარიფის განახევრება რეალურად შესაძლებელია. ტარიფების საკითხზე სამუშაო ჯგუფი 7 თვის განმავლობაში მუშაობდა და გამოიკვეთა, რომ ფორმულირება - გაზის ტარიფის განახევრება, შეუძლებელი არ იყო.

„რაც შეეხება ელექტროენერგიას, მის ტარიფს გაცილებით ფაქიზი მოპყრობა სჭირდება. აქ გამის საშუალებას გვაძლევდა ის რეალობა, რაც გვაქვს“, — განაცხადა გიორხელიძემ და დასძინა, რომ მსოფლიოში არ არსებობს კომუნალური სფერო, რომელიც წაგებაზე მუშაობს, ხოლო საქართველოში ასეთ კომპანიებს „ზემოგებები“ აქვთ.

„ლობისტური ჯგუფები, რომლებიც დღეს ხისტად აცხადებენ, რომ არაფრის შეცვლა არ შეიძლება, უმძიმეს მდგომარეობაში აყენებენ, უწინარესად, ქვეყნის პრემიერს ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც ერთადერთმა მოიგო ეს არჩევნები იმ კოალიციაში. ისინი არაწესიერად იქცევიან, რადგან ცალკეული კომპანიების ინტერესებს იცავენ“.

მოსახლეობისთვის კომუნალური გადასახადების ტვირთის შემცირების სხვა გზაც არსებობს. ესაა ტარიფის სუბსიდირება თუნდაც მხოლოდ ზამთრის პერიოდში. თუმცა, ამ მიმართულებას უფრო მეტი მოწინააღმდეგე ჰყავს, ვიდრე მომხრე.

საქართველოს პრემიერმა გადასახადის სუბსიდირებაზე უკვე ისაუბრა და მოსახლეობაში მოწონებაც დაიმსახურა. ექსპერტები კი ასეთ მიდგომას მაინცდამაინც არ იწონებენ. ირაკლი ლექვინაძე ამ ინიციატივას აბსოლუტურად მიუღებლად მიიჩნევს და აცხადებს, რომ, შესაძლოა, აღნიშნულმა ინფლაციის ზრდა გამოიწვიოს.

„საზოგადოებას შეიძლება, ეს უფრო ძვირი დაუჯდეს, ვიდრე შედარებით მაღალი ტარიფები. ამასთან, სუბსიდირება ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ხარჯების გადათამაშების შედეგად თუ მოხდება, ეს ინფლაციაზე ნაკლებად აისახება, მაგრამ თუ ამისთვის დამატებითი რესურსის მოზიდვა გახდება საჭირო, და ამ შემთხვევაში ასეც იქნება, ალბათ, მაშინ სუბსიდირება ინფლაციის სტიმულატორი აუცილებლად იქნება“, — განმარტა ლექვინაძემ და დასძინა, რომ ტარიფები უნდა იყოს საბაზრო და ოპტიმალური, არსებულზე მცირე, მაგრამ ინვესტორებისთვისაც საინტერესო.

სამთავრობო წრეებიდან კი სიახლე ის არის, რომ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ რაღაც კონკრეტული დაასახელა. ილია ელოშვილის განცხადებით, ელექტროენერგიის ტარიფი არაუმეტეს 4 თეთრით შემცირდება.

მინისტრის მოადგილე მიიჩნევს, როგორც „თელასის“, ასევე „ენერგო პრო ჯორჯიას“ განაწილების ტარიფებში შემცირების პოტენციალი არის და ეს საკითხი რამდენიმე კვირაში უნდა გადაწყდეს.

გაზის ტარიფთან დაკავშირებით კი, ელოშვილის განცხადებით, ჯერ კიდევ მიმდინარეობს დათვლა-დაანგარიშება.

ეკა ბაძრაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲝᲑᲐ

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲦᲐᲢᲐᲙᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲘᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ?!

ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲒᲐᲜ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲣᲠᲘ ᲡᲥᲔᲛᲐ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲢᲐᲠᲘᲤᲨᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲚᲣᲠᲘ **გადასახადების ტარიფები ვერ განახევრდება, მაგრამ შემცირედება — ახალ ხელისუფლებას წინასაარჩევნო დაპირების დროულად შესრულება უჭირს, მიზეზი კი ის მოულოდნელი გარემოებებია, რაც ახალმა მთავრობამ სფეროში შედარებით საფუძვლიანად ჩახედვისას აღმოაჩინა და ამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოებას თავად მიაწოდა ინფორმაცია.**

იმაში ბოლომდე გარკვევა, ზუსტად რა ხდება გაზთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა, რადგან გარკვეული დოკუმენტაცია მისთვის ჯერ კიდევ ხელმიუწვდომელია.

ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში ლიანა ჯერვალიძე თვლის, რომ გაზის სეგმენტში ტარიფის შემცირება ნაკლებ სავარაუდოა.

მისივე განმარტებით, სამხრეთ კავკასიური გაზსადენის კონსორციუმთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, გაზის ტრანზიტის და შესყიდვის ფასი განსაზღვრულია 2012 წლის ბოლომდე. საქართველო კონსორციუმისგან 2012 წლამდე პერიოდში გაზს იღებდა შეღავათიან ფასად, როგორც სატრანზიტო ქვეყანა. თუმცა, მომავალი წლიდან გაზის ამ ფასად შეძენა სავარაუდოდ, შეუძლებელი იქნება.

„საქართველო 430 მლნ კუბურ მეტრ გაზს ტრანზიტის საფასურად იღებს. კონსორციუმთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად კი შეღავათიან — 61-65 აშშ დოლარად ვიღებთ მაქსიმუმ 500 მლნ კუბურ მეტრ გაზს წლიურად. თუმცა, ხელშეკრულების ამ კომპონენტს ვადა მიმდინარე წლის ბოლოს გასდის“, — აცხადებს ჯერვალიძე.

მოკლედ, 2013 წლიდან გაზის საფასური შეიძლება გაიზარდოს.

როგორც ჯერვალიძე განმარტავს: **„2001-2002 წლებში, როცა ეს ხელშეკრულება დაიდო, ევროპაში გაზი 250 დოლარი ღირდა, დღეისათვის კი 500-550 დოლარი ღირს. ამდენად, გაზის ფასი საქართველოსთვის სავარაუდოა, 170-230 დოლარის ფარგლებში ჩამოყალიბდეს, ანუ ევროპული ფასის 50% მაინც იქნება.**

სავარაუდოა, აგრეთვე, რომ დაახლოებით ამავე საზღვრებში იქნება „სოკარისგან“ მოწოდებული სოციალური და კომერციული გაზის ფასიც. ამგვარად შეზღუდულია როგორც ტრანზიტით მიღებული გაზის რაოდენობა ისე შეღავათიანი ფასით შესასყიდი გაზის რაოდენობა და გაიზრდება მისი ფასიც“, — ამბობს ჯერვალიძე.

ეს კომპონენტიც რომ გამოვრიცხოთ და ოპტიმისტურად შევხედოთ მომავალ წელს გაზის შესყიდვასთან გასაფორმებელ ხელშეკრულებებს, ამის გარდა, სხვა ხელისშემშლელი გარემოებებიც იკვეთება, რომელსაც უფრო სუბიექტური ელფერი დაჰკრავს და იმ მძიმე მემკვიდრეობათა სიაშია, რაც ახალ ხელისუფლებას ძველისგან ერგო.

ექსპერტმა გია ხუხაშვილმა „პალიტრა.ტვ“-ის ეთერში, საუბრისას განაცხადა, რომ ტარიფებთან დაკავშირებით ახალმა ხელისუფლებამ ბევრი მოულოდნელი პარამეტრი აღმოაჩინა.

„მოულოდნელი პარამეტრები აღმოჩნდა, მათ შორის არამიზნობრივად აღებული ვალდებულებების სახით, ეს იქნება ნავთობისა და გაზის კორპორაციაში თუ სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში“, — აღნიშნა ხუხაშვილმა.

მისივე განმარტებით, უშუალოდ ნავთობისა და გაზის კორპორაციას აღებული ჰქონდა ისეთი ვალდებულებები, როგორიცაა პარლამენტის მშენებლობა, ტრაქტორების შეძენა და ევროობლიგაციების მომსახურების ყოველწლიური თანხის გადახდა.

„კორპორაცია აშენებდა პარლამენტს, ტრაქტორებს ყიდულობდა და ბევრ სხვა რამეს აკეთებდა. ევრობონდებთან დაკავშირებით, რითაც ძალიან ამაყობდა ჩვენი ხელისუფლება, ამ ვალის მომსახურების თანხა ყოველწლიურად რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი აქვს გადასახდელი. ეს ყველაფერი აისახება ტარიფში და ბუნებრივია, კორპორაცია წაგებაზე ვერ იმუშავებდა“, — განაცხადა გია ხუხაშვილმა.

ძნელი სათქმელია, კიდევ ბევრ სიურპრიზს აღმოაჩენს თუ არა ხელისუფლება საკითხის უფრო ღრმად შესწავლისას, თუმცა იმაში, რაც უკვე გაარკვია, ბევრი კითხვის ნიშანია.

„არ მინდა დეტალებში შევიდე, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ სამართალდამცველები დაინტერესდნენ, რადგან ერთი შეხედვით რაც ჩანს, ისაა, რომ აბსურდამდეა მისული ეს ყველაფერი.

ახალ ხელისუფლებას კონკრეტულ დოკუმენტებზე ჯერ კიდევ არ მიუწვდება ხელი, მაგრამ უახლოეს დღეებში, როგორც ვიცი, იქ იგეგმება ახალი მენეჯმენტის შესვლა აუდიტთან ერთად და მას შემდეგ, რაც ყველაფერი გაირკვევა, უფრო დეტალურად შეგვეძლება საუბარი“, — განაცხადა ხუხაშვილმა.

საკმაოდ საინტერესო სურათია — თუკი გაზისა და ელექტროენერგიის საფასურის გადახდისას სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში საქართველოს მოქალაქეები მონაწილეობენ, სულ მცირე, მათ უფლება აქვთ, ეს იცოდნენ. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ მომხმარებლის, ანუ საქართველოს მოქალაქეების მიერ ყოველთვიურად გადახდილი ფული ხმარდება პარლამენტის მშენებლობას, ტრაქტორების შეძენას, საგარეო ვალის მომსახურებას და ყველა იმ პროექტს, რასაც „საპარტნიორო ფონდში“ შემავალი კომპანიები ახორციელებენ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ღატაკი ქვეყნის ყველა მოქალაქე, საკუთარი სურვილის მიუხედავად, ინვესტორი გამოდის. საკმაოდ საინტერესო გეგმაა და ასევე დიდი ინტერესით დაველოდებით, რა დასკვნას დადებს აუდიტი — გვაქვს თუ არა საქმე აფერასთან.

ნავთობისა და გაზის კორპორაციის მფლობელი სს „საპარტნიორო ფონდია“, რომლის 100% სახელმწიფოს ეკუთვნის. ხოლო, თვითონ ფონდი თავის მხრივ 100% -ით ფლობს „საქართველოს რკინიგზის“, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“, „საქართველოს ელექტროსისტემის“ აქციებს, „თელასის“ აქციების- 25%-ს.

გარდა ამისა, ფონდში არის საინვესტიციო მიმართულება, რომელიც სხვადასხვა პროექტებს აფინანსებს. როგორც ფონდის ახალი ხელმძღვანელი ირაკლი კოვზანაძე აცხადებს, „საპარტნიორო ფონდის“ ამოცანაა, ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკის კერძო ინვესტიციების მხარდაჭერას რამდენიმე მიმართულებით. ესენია ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა და უძრავი ქონება, ასევე მრეწველობა.

ფონდს ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, სადაც მთავრობის რამდენიმე წევრი შედის, კერძოდ ეკონომიკის, ფინანსთა, ენერგეტიკისა და იუსტიციის მინისტრები. ასევე, ფონდში წარმოდგენილია რამდენიმე კომერციული ბანკის პირველი პირი — „საქართველოს ბანკიდან“, „თიბისი ბანკიდან“, „კორსტანდარტ ბანკიდან“ და „ლიბერთი ბანკიდან“.

საქართველოს მთავრობის საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელად ყოფილი პრემიერ ნიკოლოზ გილაური 30 ივნისს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით დაინიშნა.

მთავრობამ „საპარტნიორო ფონდი“ შეფერხებული პროექტების დაფინანსებისთვის შარშან შექმნა.

ასევე ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი კი განმარტავდა, რომ ფონდის მიერ გაკეთებული საქმე მომავალში საქართველოს ეკონომიკური განვითარების საფუძველი უნდა გამხდარიყო, მათ შორის, უცხოეთში ქართული ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის წახალისება სწორედ ამ კომპანიას უნდა მოეხდინა.

ჯერჯერობით საპარტნიორო ფონდმა მხოლოდ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია წაახალისა, რომ მიმდინარე წლის გაზაფხულზე 250 მილიონი აშშ დოლარი ევრობონდი გამოეშვა. პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური აცხადებდა, რომ ეს იყო კორპორაციის წარმატებული ტრანზაქცია და 250 მილიონი დოლარის ხუთწლიანი ევრობონდი 6,8 - 6,9 პროცენტში გამოუშვა. ფინანსურმა ინსტიტუტებმა კი კორპორაციას სახელმწიფო გარანტიის გარეშე გამოუყვეს, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ფინანსური საზოგადოება საქართველოს მაკროეკონომიკას ენდობა.

სავარაუდოდ, ევრობონდებით დაინტერესება სამართალდამცველებსაც მოუწევთ, რადგან არავინ იცის, ევრობონდებით შემოსული თანხა (არა მხოლოდ ამ შემთხვევაში) რას მოხმარდა, რეალურად რა პროცენტზეა ლაპარაკი და ა.შ.

რაც შეეხება, ტარიფის შემცირებას, როგორც ენერგეტიკის მინისტრი ამბობს, ამ საკითხზე საუბრები უკვე დაწყებულია, თუმცა კახა კალაძე იმასაც ამბობს, რომ მისი შემცირება საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ხელმძღვანელობის შეცვლამდე გართულდება.

ისიც საკითხავია, საქართველომ ბუნებრივ გაზში მის ხელთ არსებული ბერკეტები აზერბაიჯანულ „სოკარს“ რატომ გადასცა და გაზისა და ნავთობის კორპორაცია, ანუ ქართული მხარე გაზის შესყიდვაში რატომ აღარ მონაწილეობს.

ნებისმიერ სფეროში კითხვები ძველი ხელისუფლების მიმართ საკმაოდ ბევრია, თუმცა განსაკუთრებით ბევრია ენერგეტიკის სფეროში, გვახსოვს უამრავი გაუაიდუმლოებული ხელშეკრულება, სადაც, საეჭვოა, გადასახადების გადამხდელთა ინტერესები ვინმეს გაეთვალისწინებინა.

მარიამ თოდაძე

◎ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

ᲗᲣ ᲙᲐᲪᲘ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲘᲐ...

ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲓᲔᲐ „ᲓᲐᲛᲬᲘᲤᲓᲐ“

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ **მეურნეობის სამინისტრომ ერთმილიარდიანი ფონდის ამოცანები განსაზღვრა. დადგინდა, რომ ფონდი შემდეგი მიმართულებით იმუშავებს: მცირემიწიანი ფერმერების ხელშეწყობის პროგრამა, სასოფლო-სამეურნეო კორპორაციების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, სოფლის მეურნეობაში ჩართული კომპანიების იაფი კრედიტებით უზრუნველყოფა, გადამმუშავებელი საწარმოების თანადაფინასების უზრუნველყოფა და სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის ხელშეწყობის განხორციელება.**

როგორც სამინისტროში აცხადებენ, მუშაობა მიმდინარეობს პრემიერის მიერ გახმოვანებული უპრეცედენტო ხვნათესვის პროგრამის შექმნისთვის, თუმცა დეტალებს არ აკონკრეტებენ.

„ზუსტი ვადების თქმა რთულია, როდის შეიქმნება და ამოქმედდება, თუმცა ფონდი იქნება უწყებათაშორისი. ეს იმდენად დიდი დატვირთვის მქონე სტრუქტურაა, რომ მას ეყოლება საბჭო, რომელსაც პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს. ფონდის საბჭოში შევა ეკონომიკის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო. არ გამოვრიცხავ, ჩაერთოს გარემოს დაცვის სამინისტრო“, — აცხადებს სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე.

მისი თქმით, ფონდი რეალურ ქმედებას 2013 წლიდან დაიწყებს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ სტრუქტურა დეკემბერში ან ახალი წლის დასაწყისში შეიქმნას: **„ფონდის მმართველი საბჭო იქნება მისი ზოგადი პრინციპების მმართველი, მაგრამ მიმაჩნია, რომ მას უნდა ჰყავდეს დამოუკიდებელი მენეჯმენტი. ის არ შეიძლება იყოს სამინისტროს ნაწილი. ფონდი უნდა იყოს დამოუკიდებელი და უნდა იმოქმედოს სახელმწიფოს სტრატეგიის მიხედვით“,** — აღნიშნავს კირვალიძე.

მილიარდიან ფონდთან დაკავშირებით პირველი ცნობები ამ რამდენიმე დღის წინ პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა გაახმოვანა. მისი ინფორმაციით, იგეგმება ახალი ტრაქტორებისა და მოტობლოკების შემოტანა, ასევე დაგეგმილია სამელიორაციო სამუშაოებისთვის ტექნიკის შეძენა. პრემიერ-მინისტრი იმედოვნებს, რომ სარწყავი სისტემების აღდგენა ზოგიერთ რეგიონში ზამთარშივე მოესწრება.

მიმდინარეობს მუშაობა, რომ გაზაფხულამდე თითო რეგიონში თითო ახალი საშუალო და მცირე გადამმუშავებელი ქარხანაც გაჩნდეს. ივანიშვილის თქმით, მთავრობას სურს, უახლოეს გაზაფხულზე შექმნას უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც საქართველოში არსებული სავარგული მიწების მაქსიმალური რაოდენობა დაიხვნება და დაითესება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, პროგრამაზე მუშაობა მიმდინარეობს, თუმცა პროგრამა მხოლოდ იმიტომ ჭიანურდება, რომ მოსახლეობის 80%-ს მიწები დარეგისტრირებული არა აქვს.

კონკრეტულად რა პრიორიტეტები უნდა დაისახოს მილიარდიანმა ფონდმა, ამაზე ექსპერტებს უკვე ჩამოყალიბებული პოზიცია აქვთ. პაატა კოღუაშვილი მთავარ პრიორიტეტად აგროსექტორის დაკრედიტებას მიიჩნევს:

„სჯობს, კრედიტები გავცეთ ცივილიზებულად. ამისთვის საჭიროა, შეიქმნას სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემა. ეს არის კოპერაციული ტიპის სისტემა, რომლის მთავარი პრინციპია ურთიერთდახმარება და სოლიდარული პასუხისმგებლობა. ეს იქნება არამომგებიანი საბანკო სისტემა, რომელიც 3-4 პროცენტად გასცემს სესხებს აგროსექტორისთვის.

სექტორის განსავითარებლად გაიცემა გრძელვადიანი 15-წლიანი სესხი და გადახდა დაიწყება 5 წლიდან. მიღებული მოგება დაბრუნდება საწესდებო კაპიტალში, რითაც აგროსაკრედიტო სისტემა განვითარდება და გაფართოვდება“, — აღნიშნავს პაატა კოღუაშვილი.

გიორგი ბექაური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

დათმობს თუ არა რუსეთი გეოპოლიტიკური მიზნებისთვის აფხაზეთსა და სოხუმს?

ოსური მედია აქტიურად განიხილავს საქართველოს პოლიტიკაში მომხდარ ცვლილებას — ხელისუფლებაში კოალიცია“ ქართული ოცნების“ მოსვლას“ და მის ერთთვიან მოღვაწობასაც აფასებს. Cominf.org-ზე განთავსებულ სტატიაში მითითებულია, რომ ახალი ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით არ აპირებს საგარეო პოლიტიკის ვექტორის შეცვლას და ამის მაგალითად გამოდგება ივანიშვილის პირველი ვიზიტი ბრიუსელში და საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის განცხადებაც „საქართველო ალიანსის და ევროკავშირის გარდა, არსად გაწევრებას არ აპირებს“.

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლების განცხადებით, „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკა მათ მიმართ, დიდად არ შეიცვლება და მხოლოდ „ნამცხვარი“ შეცვლის „მათრახს“ და ეს მათ მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ გაკეთებულ განცხადებებშიც ჩანს. სტატიის ავტორის თუ ავტორთა განცხადებით, აფხაზი და ოსი ზოგიერთი ექსპერტი, ბოლო პერიოდში შეშფოთებას გამოხატავს რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ შესაძლო პოლიტიკის შეცვლის შესახებ, რაც საქართველოს ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენას უკავშირდება.

„ექსპერტები შიშობენ, რომ „ქართულ მხარეს საკმაოდ ძლიერი ლობი ჰყავს რუსეთში, რომელსაც ნებისმიერი საკითხის წინ წაწევა შეუძლია“ და კიდევ „კრემლის ირგვლივ არსებული კორუფცია“, რომელმაც შესაძლებელია დამღუპველი ზემოქმედება მოახდინოს არცთუ ისე დიდი ხნის წინათ საქართველოს ქვეშევრდომობიდან გამოსული ხალხის დამოუკიდებლობაზე. ექსპერტები სვამენ კითხვას — ხომ არ შეეცდება რუსეთი სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური მიზნებისთვის ქართული მხარის მიმართ ლოიალური გახდეს და აფხაზეთი და სოხუმი დათმოს? თუმცა, სტატიის ავტორის განმარტებით, ეს არალოგიკურია, ახლა არც 1990-იანი წლებია და არც სტალინის და ბერიას მმართველობის პერიოდი“, — ვკითხულობთ სტატიაში.

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ პირველი თვის მუშაობის შედეგებს, ის ოსი ექსპერტებისთვის იმედისმომცემი გამოდგა. მათი განმარტებით, რუსეთთან და დსთ-ს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა ქართული მხარის სხვა ხალხებთან ურთიერთობების დალაგებასაც გამოიწვევს, რაც, თავის მხრივ, ქართული ხელისუფლების მხრიდან, მეზობელ ხალხზე შესაძლო სამხედრო თავდასხმების არიდების ერთ-ერთი ფაქტორი იქნება, ქართველი ხალხის წინაშე კი ფარდა აეხდება ყოფილი ხელისუფლების ყველა ბოროტ განზრახვას.

რაც მთავარია, კოალიცია „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე აცხადებდა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების რეალურ ხასიათს. განა ეს არ არის სერიოზული იდეოლოგიური ბიძგი ახალი ქართული პოლიტიკური ელიტის ცნობიერებაში?

სტატიის ავტორის განმარტებით, მკითხველს, შეიძლება გაუჩნდეს აზრი, რომ ავტორს „ბორჯომი“ მოენატრა და ის „აგიატეს“ ან „აუადხარს“ ურჩევნია, თუმცა, ეს ასე არ არის!

„რეალობა ასეთია, საქართველო თავისი პრობლემებით მაინც ჩვენს მეზობლად რჩება, გამომდინარე აქედან, ნებისმიერი პოლიტიკური ცვლილება, რაც საქართველში ხდება, აუცილებლად პოვებს ასახვას ოსების ყოფაცხოვრებაზეც. საქართველოს ხელისუფლებაში ნეონაციისტური და კრიმინალური რეჟიმის წასვლამ არ შეიძლება არ ჩასახოს იმედი სამხრეთ ოსეთთან, აფხაზეთთან და რუსეთთან მომავალი ცივილიზებული ურთიერთობებისა. თუმცა, კეთილმა მოსაზრებებმა პრაგმატულობაც არ უნდა დაგვავიწყოს. სამწუხაროდ, ისტორია გვაჩვენებს, რომ კეთილი ზრახვებით მოსული პოლიტიკური ძალები, თვალისდახამხამებაში ანტისახალხო და ტოტალიტარულ რეჟიმებს ქმნიან ხოლმე“, — ნათქვამია სტატიაში.

From.ge

სამართლიანობა თუ შურისძიება?

სულ რამდენიმე კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ჩატარდა და, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ოპოზიციას ძალაუფლება მშვიდობიანად გადაეცა. მაგრამ დემოკრატიული მონაპოვარი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მიხეილ სააკაშვილის მთავრობის მაღალი რანგის ჩინოვნიკების დაპატიმრებათა ტალღამ იმ დროს, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ პრეზიდენტია.

დაპატიმრებულთა შორის არიან ყოფილი შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი და თბილისის ვიცე-მერი. ახალი პრემიერ-მინისტრის, მილიარდერი ბიზნესმენის ბიძინა ივანიშვილის მთავრობამ მათ ბრალად წაუყენა ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, უკანონო დაპატიმრებები და წამება.

დაპატიმრებების დიდმა მასშტაბებმა და ბუნდოვანმა სასამართლო პროცედურებმა შეშფოთება გამოიწვია. ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ „უკიდურესად შეშფოთებულია“. სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანმა ივანიშვილი შერჩევითი სამართლის გამო გააფრთხილა.

ივანიშვილი აცხადებს, რომ დაპატიმრებებს პოლიტიკური ხასიათი არა აქვს და გამოვიდა წინადადებით შექმნილიყო დამოუკიდებელ დამკვირვებელთა ჯგუფი, რომელიც სასამართლო პროცედურებს გააკონტროლებდა. მაგრამ, ამავე დროს, ის ცდილობს, მოიძიოს სამართლებრივი გზები საკაშვილის დარჩენილი აღმასრულებელი ძალაუფლების დასასუსტებლად.

ივანიშვილის კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ 1 ოქტომბრის არჩევნებში საკვირველი გამარჯვება მოიპოვა, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის მთავრობამ შეიტანა ცვლილებები საარჩევნო სისტემაში, რომელთა მიზანი, როგორც ჩანს, სააკაშვილის პარტიის ძალაუფლების განმტკიცება იყო. სააკაშვილის მმართველობის დროს ასევე გატარდა საკონსტიტუციო რეფორმა, რომლის თანახმად, პრემიერ-მინისტრს მეტი ძალაუფლება გადაეცემა. აშკარაა, რომ ამ პოზიციის დაკავებას იმედოვნებდა სააკაშვილი 2013 წლის ოქტომბერში, მაშინ, როდესაც მისი ფინალური საპრეზიდენტო ვადა ამოიწურებოდა. მაგრამ ახლა ივანიშვილსა და სააკაშვილს ერთი წლის განმავლობაში თანაარსებობა მოუწევთ.

სააკაშვილს საქართველოში იმისთვის აკრიტიკებდნენ, რომ მან ჭარბი ძალაუფლების აკუმულირება მოახდინა, ინარჩუნებდა მკაცრ კონტროლს ნაციონალურ ტელევიზიებზე, ადგილი ჰქონდა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სხვა ფაქტებს. არჩევნების წინ გამოჟონა ვიდეომ, სადაც ნაჩვენები იყო, როგორ სცემდნენ და ძალადობდნენ პატიმრებზე ციხის მცველები.

ეს და სხვა სერიოზული ბრალდებანი უნდა გამოიძიონ. მაგრამ სასამართლო უნდა ჩატარდეს სამართლიანად და ღიად, ხოლო შედეგები უნდა განაპირობოს სათანადო სამართლებრივმა პროცედურებმა და არა ანგარიშსწორებამ.

პოსტსაბჭოთა ქართულ პოლიტიკაში ბევრჯერ აღინიშნა კონფრონტაცია. ივანიშვილი პირდაპირ აცხადებს, რომ ღიაა დასავლეთის რჩევებისადმი კანონის უზენაესობასთან დაკავშირებით, მაგრამ ის და ზოგიერთი მისი მომხრე, როგორც ჩანს, შურისძიებისკენ იხრებიან. ხელშემწყობი ფაქტორი შეიძლება დასავლეთზე გაბრაზება იყოს, რადგან დასავლეთი სააკაშვილს, მისი პროდასავლური პოზიციის გამო, მტკიცედ უჭერდა მხარს და არ რეაგირებდა სათანადოდ დემოკრატიული პრაქტიკის შელახვაზე.

დასავლელმა ლიდერებმა თანმიმდევრულად უნდა მოითხოვონ სამართლის მიუკერძოებლობა, ამ გზავნილს ჩაიტანს ორშაბათს თბილისში ევროპის კავშირის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელი ქეთრინ ეშტონი. მომავალ თვეს, ნატოს შეხვედრაზე, საგარეო საქმეთა მინისტრებმა ასევე უნდა შეაფასონ ის, თუ რამდენად წაიწია საქართველომ წინ ალიანსში გაწევრების კრიტერიუმების შესასრულებლად, განსაკუთრებით დემოკრატიული მშენებლობის კონტექსტში.

საქართველო, რომელსაც უკვე მტკიცე კავშირები აქვს დასავლეთთან, უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას იმედოვნებს და ამ იმედების აღსრულება დამოკიდებულია დემოკრატიის პროგრესის უწყვეტობაზე. ივანიშვილმა უნდა გაითვალისწინოს, ევროპის კავშირმა გაყინა კავშირები უკრაინასთან, კიდევ ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან, რომელსაც დასავლური ამბიციები ჰქონდა იმის გამო, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტობის კანდიდატი, იულია ტიმოშენკო საეჭვო ბრალდებებით დააპატიმრეს.

კარგი იქნება, თუ შეერთებული შტატები და ევროპის კავშირი ქართველ ლიდერებს მსოფლიოში ცნობილი იურისტების ჯგუფის კონსულტაციას შესთავაზებენ. მათი კონსულტაცია უნდა გახდეს სამართლიანი სასამართლო პროცედურის გარანტია.

დასავლეთმა ასევე უნდა გააფართოოს კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და მედიის თავისუფლების პროგრამები. ოქტომბრის არჩევნებმა, რომელიც დასავლელმა დამკვირვებლებმა თავისუფლად და სამართლიანად მიიჩნიეს, იმის იმედი გააჩინა, რომ საქართველო შეიძლება დემოკრატიის შუქურად იქცეს. რეტროგრადულმა ნაბიჯებმა ეს ყველაფერი შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს.

დენის კორბოი, ლონდონის „კინგს კოლეჯის“ მოწვეული უფროსი მკვლევარი, მსახურობდა ევროკომისიის ელჩად საქართველოსა და სომხეთში. უილიამ კორტნი იყო აშშ-ის ელჩი ყაზახეთსა და საქართველოში და პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე რუსეთის, უკრაინისა და ევრაზიის საკითხებში. კენეტ იალოვიცი იყო აშშ-ის ელჩი ბელარუსსა და საქართველოში.

დენის კორბოი,
უილიამ კორტნი, კენეტ იალოვიცი

The New York Times

დედამიწის ზურგზე

ბელგიელი გაშორდა ცოლს, როდესაც 19 წლის შემდეგ გაიგო, რომ ის თურმე მამაკაცი იყო

თავდაპირველად ოჯახის უფროსს უხაროდა, რომ მისი მეუღლე ზრუნავდა მის შვილებზე, თავად ქალი კი იყო თვინიერი და კეთილი. შემდეგ მან მონახა სამუშაო, დაიწყო დისკოთეკებზე სიარული გამომწვევი ტანსაცმლით, ერთ-ერთი ჩხუბის შემდეგ ცოლმა აღიარა, რომ წარსულში მან სქესი შეიცვალა. მაშინ გაცურებულმა მეუღლემ ხელი აღმართა საყვარელ ადამიანზე: „მე ვიგრძენი, რომ გამაუპატიურეს“.

* * *

გარდაიცვალა ნობელის ლაურეატი, ვინც ისტორიაში პირველად გადაუნერგა ადამიანს თირკმელი

1954 წელს ჯოზეფ მიურეიმ თირკმელი გადაუნერგა 23 წლის რიჩარდ ჰერიკს მისი ტყუპი ძმის რონალდისგან, და მას შემდეგ მსოფლიოში ასობით ათასი ოპერაცია გაკეთდა ამ ორგანოს გადანერგვის მიზნით. 1962 წელს ქირურგმა მოახდინა თირკმლის პირველი ტრანსპლანტაცია გარდაცვლილი დონორისგან.

* * *

ანტარქტიკის ტბა ვიდაში აღმოაჩინეს სიცოცხლე, რომელიც 3 ათასი წელიწადი იზოლირებული იყო გარესამყაროსგან

ამერიკელმა მეცნიერებმა ტბის წყალში, რომელიც ოცმეტრიანი სისქის ყინულის ქვეშ იმყოფებოდა, აღმოაჩინეს ბაქტერიების რამდენიმე სახეობა. სიცოცხლისუნარიან ყინვაგამძლე ორგანიზმებს აქვთ უნარი იარსებონ რთულ პირობებში — სიბნელეში, მარილიან წყალში, ტემპერატურის დროს მინუს 13,5 გრადუსამდე და გარესამყაროსგან სრულ იზოლაციაში.

* * *

მეძსიკაში სამხედროებსა და ნარკოტიკებით მოვაჭრეებს შორის სროლის დროს დაიღუპა სილამაზის დედოფალი

20 წლის მარია სუსანა ფლორეს ჰამესი იყო დამნაშავეთა ბანდის წევრებს შორის, მისი სხეულის გვერდით აღმოაჩინეს ავტომატი. თუმცა, გამოძიებას ჯერ არ დაუდგენია, მონაწილეობდა თუ არა ქალი შვილი სროლებში. იგი ერთ-ერთი ავტომობილით მიდიოდა, რომელსაც მრავალი საათის განმავლობაში მისდევდნენ სამხედროები.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მართალი და დაუღალავი შემოქმედი



ელგუჯა ლეგანიძე – 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და ჟურნალისტი ელგუჯა მიხეილის ძე ლეგანიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ელგუჯა!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო და კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ღირსეულ შემოქმედს, პატიოსნებით და უღალატობით გამორჩეულ პიროვნებას და გილოცავენ ღირსშესანიშნავ დღეს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 75 წლისთავს.

თქვენი პირველი ლექსი „ამაღლება“ 1962 წელს გამოქვეყნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“. თუმცა დებიუტს გაგრძელება არ მოჰყოლია. ამასობაში ქართველმა მკითხველმა თქვენ, გაგიცნოთ, როგორც სერიოზული და ნაყოფიერი ჟურნალისტი,რომელიც ათწლეულების განმავლობაში ღირსეულად, რწმენითა და სიყვარულით იცავდა საქვეყნო ინტერესებს.

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც სისტემატურად იბეჭდება თქვენი ლექსები, მოთხრობები, ნოველები, სბავშვო ნაწარმოებები, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პროზაული თუ პოეტური კრებულები „თბილისში ბარათებს არ აგზავნიან“, „გადასწიეთ ფარდა, შემოუშვით სინათლე“, „არა ოდენ მახვილით“, სავსე მთვარე“, „ბედი მდევარი“, რომანები „უფლისწული ჩინმაჩინის ქვეყნიდან“ და „წამი და მთელი სიცოცხლე“ ქართველ მკითხველს თავს, უპირველეს ყოვლისა, ძარღვიანი ქართულით, დიდი ადამიანური სიმართლით, ბუნებრივი, ლაღი დიალოგებით, იუმორის მძაფრი განცდით ამახსოვრებს.

ქართველმა ბავშვებმა შეიყვარეს თქვენი საყმაწვილო ლექსებისა და მოთხრობების ისეთი კრებულები, როგორიცაა „ცასწავალას სამღერი“ და „სიხარულს ძებნა არ უნდა“.

თქვენს კალამს ეკუთვნის მონოგრაფიული ნაშრომი რენო თურქიას შემოქმედებაზე „დასაწყისი უკვდავებისა“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დიდი სიყვარულით გამთბარი მოგონებების წიგნი „მიახლეზია პოეტი ოთხმოცს“, რომელიც მურმან ლებანიძის ნათელ ხსოვნას მიუძღვენით.

ვინ ჩამოთვლის თქვენს პუბლიცისტურ სტატიებს, რომლებიც შევიდა ისეთ კრებულებში, როგორიცაა „დამესიზმრე წუხელ, ხულო“, „დასაწყისი უკვდავებისა“, „ნახტომი უსასრულობაში“...

თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია აზერბაიჯანულ და ჩეჩნურ ენებზე.

მართლაც რომ ღვაწლმოსილ კაცს ღვაწლი დაგიფასდათ. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, მონიჭებული გაქვთ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრემია. როგორც წლის საუკეთესო ჟურნალისტი დაჯილდოვდით ოქროს ფრთით.

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას კოლეგას, ამაგდარ შემოქმედს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და თქვენი ყველა სანუკვარი ოცნების განხორციელებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

კოლეგა და მეგობარი

უკანმოუხედავად გარბიან წლები. აი უკვე 75 წლისა გამხდარა ჩვენი კოლეგა და მეგობარი, გულანთებული მამულიშვილი და შემოქმედი **ელგუჯა ლებანიძე.**

ლებანიძეების გვარი, როგორც თავად ელგუჯა გადმოგვცემს, ზემო რაჭიდან, სოფელ კვაშხიეთიდან მოდის. მის წინაპრებს გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში სამემკვიდრეო მიატოვებინეს. ისინი კახეთში, სოფელ მუკუზანში დასახლდნენ. ელგუჯა იქ დაიბადა და გაიზარდა. „მე იმ მშვენიერი სოფლიდან მოვდივარ, იტყვის შემდეგ დაღვინებული ჟურნალისტი, რომლის შუკებსა და ორღობეებს დღემდე ატყვია ჩემი ნაფეხურები“.

თუ რამდენად შთამბეჭდავი და ფასეულია კახურ სოფელში დარჩენილი „ნაფეხურების“ მადლი და გავლენა ელგუჯა ლებანიძის ნაღვაწ-ნაკალმარზე, ეს ძალუმად იგრძნობა ჟურნალისტის თითოეულ კორესპონდენციასა თუ ჩანახატში, ნარკვევსა თუ პუბლიცისტურ სტატიაში, სამშობლოს სიყვარულით მთვრალ ლექსებსა თუ სიტყვაკაზმულ ბელეტრისტიკაში.

ჟურნალისტისთვის დამახასიათებელ ამ სასიამოვნო თვისებათა კონტურები ნათლად გამოიკვეთა ჯერ კიდევ მაშინ, როცა სრულიად ახალგაზრდა ელგუჯა ლებანიძე რედაქტორობდა ახმეტის რაიონულ გაზეთ „ბახტრიონს“ და ბასრი კალმითა და შემართული სიტყვით უწევდა ბრძოლა იმ დროისათვის საზოგადოებაში ხავსად მოდებულ უსამართლობასთან.

სწორედ საზოგადოებაში მიჩუმათებული ტკივილების გამომზეურების სურვილმა უბიძგა ელგუჯა ლებანიძეს დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს საწარმოში – გაერთიანება „ელექტროაპარატში“ დაეარსებინა გაზეთი „ელექტრიკოსი“, რომელსაც წლების მანძილზე თავადვე რედაქტორობდა, შეუფერადებლად და მოუკერძოებლად აუწყებდა საწარმოს მშრომელთა სამეურნეო და ყოფით პრობლემებს, მათ გასაჭირსა თუ სატკივარს. სიმართლისათვის ბრძოლის წყურვილმა მიიყვანა ჟურნალისტი შინაგან საქმეთა სამინისტროს გაზეთ „სიმართლეში“, რომლის პირველი ნომრების გამოცემა ქვეყანაში შექმნილ უაღრესად რთულ პერიოდს – ეროვნული მოძრაობის აღზევების ჟამს დაემთხვა. და იმ გაზეთშიც, რომელსაც „საქმიანი კვირა“ ერქვა (ორივეგან მთავარი რედაქტორის მოადგილედ მუშაობდა) და ქვეყანაში მიმდინარე ურთულეს ეკონომიკურ და კომერციულ საკითხებს აშუქებდა. ამ პრობლემასთან ჭიდილში ელგუჯა ლებანიძის მადლიანმა კალამმა არა ერთი და ორი გზააბნეული ადამიანი დააკვალიანა.

სრულიად გამორჩეულია ამ კალმის პატრონის როლი იმ დროისათვის დიდად პოპულარული გაზეთის „სოფლის ცხოვრების“ მრავალრიცხოვან მკითხველში, სადაც ელგუჯა ლებანიძე წლების მანძილზე ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განყოფილებებს მაღალპროფესიულად უძღვებოდა. თუმცა, როგორც თავად ჟურნალისტი აცხადებს, „სოფლის ცხოვრების“ მცირე ფორმატი მას სათქმელის სრულად და ბოლომდე თქმის საშუალებას არ აძლევდა, რაც 1997-2003 წლებში, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოღვაწეობის პერიოდში, უკლებლივ და მთლიანად აინაზღაურა.

აქ უნდა გავიხსენოთ ელგუჯა ლებანიძის წიგნი „საით მიიჩქარიან მატარებლები“, რომელშიც დასტამბულია „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული, ქვეყნის მკვებავი არტერიის – რკინიგზის ნარეკლიანი ცხოვრების ამსახველი წერილები და კორესპონდენციები.

ელგუჯა ლებანიძის, როგორც ჟურნალისტისა და შემოქმედის, არსი მისი კალმის სიჩაუქესა და სიწრფელეშია. ჩვენს ყოველდღიურ რეალობაში ბევრს ვერ გადაეყრებით ისეთ მოკალმეს, რომელიც ასეთი სიმართლითა და სიალალით, სისხარტითა და სილაღით აგვიწერდეს ქვეყნის მზიანი და ღრუბლიანი დღეების, შუქისა და ტრაგიზმის მონაცვლეობით გაჯერებულ სინამდვილეს.

ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა ელგუჯა ლებანიძის ბოლოდროინდელ შემოქმედებაში, როცა ის მთლიანად გადაერთო პოეზიასა და ბელეტრისტიკაში. მოკლე პერიოდში მწერალმა უკვე მოასწრო რამდენიმე წიგნის გამოცემა. თუ დამცალდა, ერთი ამდენი კიდევ გამოსაცემი მაქვსო, გაგვიმხილა მხცოვანმა მწერალმა. უფალსა ვთხოვთ, შემოქმედების ხალისი კიდევ დიდხანს გაგყოლოდეს, ჩვენო კოლეგავ და მეგობარო, ძმაო ელგუჯ!

კოლეგები და მეგობრები „საქართველოს რესპუბლიკიდან“

◎ ალიან-ჩალიანი

ნავთობისა და გაზის კორპორაციას დავით თვალაბეიშვილი უხელმძღვანელებს

ნავთობისა და გაზის კორპორაციას დავით თვალაბეიშვილი უხელმძღვანელებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კორპორაციიდან აცნობეს, ახალი გენერალური დირექტორი კორპორაციის თანამშრომლებს საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი კოვზანაძემ და ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ წარუდგინეს.

ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, თვალაბეიშვილი ნავთობისა და გაზის სფეროში გამოცდილი კადრია, იგი მუშაობდა USAID-ის და MCG-ის პროექტების მენეჯერად, ასევე მსოფლიო ბანკის თბილისის ოფისში.

— დავით თვალაბეიშვილის დანიშვნა კომპანიის ინტერესებს გააძლიერებს და გაზრდის მის ღირებულებას, უფრო ეფექტურს გახდის კომპანიის მენეჯმენტს და შესაბამისად, კორპორაციისა და საპარტნიორო ფონდის ურთიერთობა უფრო მჭიდრო გახდება. კორპორაცია საპარტნიორო ფონდთან და ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად იმუშავებს იმ საკითხების გადაჭრაზე, რაც საქართველოს სახელმწიფოს წინაშე ამ მიმართულებით დგას, — განაცხადა კოვზანაძემ.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა კახი კალაძემ წარმატება უსურვა ახალ გენერალურ დირექტორს და იმედი გამოთქვა, რომ კორპორაცია საპარტნიორო ფონდთან და ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად მოსახლეობისთვის სასიკეთო საქმეს გააკეთებს.

რუსეთიდან ქართველების გამოძევების საქმეზე ევროსასამართლო გადაწყვეტილებას მალე გამოაქვეყნებს

სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ ინიცირებული ორი სახელმწიფოთაშორისი საქმედან, პირველ საქმეზე პროცედურა დამთავრებულია და დახურულია. ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა „მაესტროს„ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მინისტრის განმარტებით, ეს საქმე ეხება საქართველოს მოქალაქეების და ეთნიკურად ქართველების მასობრივად გამოძევებას რუსეთის ფედერაციიდან.

როგორც წულუკიანმა განაცხადა, საქმეზე პროცედურის დამთავრება იმას ნიშნავს, რომ ერთადერთი რაც დარჩა, ევროპული სასამართლოს მიერ თავისი გადაწყვეტილების გამოქვეყნებაა.

როგორც წულუკიანმა აღნიშნა, გადაწყვეტილება მიღებულია, რადგან უკვე შედგა თათბირი, რომელსაც აწარმოებს ევროპული სასამართლო.

— მე დიდი იმედი მაქვს, აგრეთვე, რომ ეს საქმე დასრულდება ისე, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესი იქნება დაცული, — განაცხადა წულუკიანმა.

რაც შეეხება მეორე საქმეს, მინისტრის განცხადებით, ეს არის 2008 წლის აგვისტოში შეტანილი საქმე რუსეთის წინააღმდეგ და ის ჯერ კიდევ შორს არის პროცედურის დასასრულისკენ.

— ამიტომ, რაიმე ტიპის პერსპექტივის წინასწარმეტყველება დღეს გამიჭირდება, თუმცა ჩვენ, იუსტიციის სამინისტრო წარმოვადგენთ სახელმწიფოს ამ საქმეზე და ბოლომდე, კომპეტენტურად მივდევთ ამ საჩჩელს სასამართლოში, — დასძინა წულუკიანმა.

გორში მეხანძრეები გაიფიცნენ

ხელფასების ზრდის და ჯანმრთელობის დაზღვევის მოთხოვნით ისინი ქალაქის ადმინისტრაციის შენობასთან საპროტესტო აქციას მართავენ.

მეხანძრეების განმარტებით, მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მუშაობას არ გააგრძელებენ.

მათი ინფორმაციით, სპეციალური სახანძრო მანქანები 26 წლის წინ არის გამოშვებული, მოძველებულია და წყალი გასდის. ასეთ პირობებში კი დაკისრებული მოვალეობების შესრულება უჭირთ.

ადგილობრივი ხელისუფლებიდან მეხანძრეებთან შესახვედრად ჯერჯერობით არავინ მისულა, თუმცა არსებული ინფორმაციით, მათთან შეხვედრას გეგმავს გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ხმიადაშვილი.

გია გაჩეჩილაძე – სხვისი პულტი არ უნდა გამოეყენებინა

„მწვანეთა პარტიის“ ლიდერი, უმრავლესობის წევრი გია გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ პარლამენტში სხვისი პულტის გამოყენება დარღვევა იყო და ეს არ უნდა გაეკეთებინა.

— ჩვენ ჩვენი ადგილი არ გვაქვს. ხან ერთ ადგილას ვზივართ, ხან სხვაგან. ვიღაც იჯდა ჩემს გვერდით, არც შემიხედავს, ვინ იყო. იქვე იდგა და ტელეფონზე საუბრობდა. საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაცია მიდიოდა და მთხოვა, მიაჭირე ჩემს მაგივრადო, მეც მივაჭირე პულტს და ამ დროს მედიამ „დამიჭირა“. ეს სერიოზული დარღვევაა და არ უნდა გამეკეთებინა, — განაცხადა გაჩეჩილაძემ.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სიტუაცია

ტატამი საკარძლის მაძიებელთათვის

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა 10 დეკემბრისთვის გადაიდო.

გადაწყვეტილება საარჩევნო-საანგარიშო ყრილობის გადატანის შესახებ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართულ ყრილობაზე მიიღეს.

ყრილობაში ხმის მიცემის უფლების მქონე 51 დელეგატიდან 27 მონაწილეობდა. ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტობაზე განაცხადი ორმა კანდიდატმა — მამუკა ხაბარელმა და დავით ხახალეიშვილმა გაიკეთა, თუმცა ორივემ მოხსნა კანდიდატურა.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ყრილობის წამყვანმა და ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვლადიმერ ნუცუბიძემ დღის წესრიგში არჩევნების თარიღის გადატანის საკითხი დასვა და ახალ თარიღად 10 დეკემბერი დასახელდა, კანდიდატურების შეტანის ბოლო ვადად კი 7 დეკემბერი განისაზღვრა.

ასევე გარკვეული კორექტივები შევიდა აღმასკომის ხმის მიცემის უფლების მქონე დელეგატთა შორისაც. ძიუდოს ფედერაციის აღმასკომი საკუთარი სურვილით დატოვეს ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა გიორგი ალექსიძემ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ დავით ნამგალაურმა, ხოლო აღმასკომმა უფლებამოსილება შეუჩერა მერაბ ჩიქობავას და გიორგი უდესიანს.

ყრილობას სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე და პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდული კომიტეტის თავმჯდომარე ლერი ხაბელოვი.

ახალი ხელმძღვანელი ძიუდოს ფედერაციას მომდევნო 4 წლის ვადით უხელმძღვანელებს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

ქართული ჯაჭი აპენინებზე

იტალიის საკალათბურთო ჩემპიონატ „ლეგა ბასკეტში“ გამორჩეული მატჩი ჩაატარა საქართველოს ნაკრების წევრმა მანუჩარ მარკოიშვილმა. 26 წლის მსროლელმა კარიერაში პირველი ორმაგი დუბლი შეასრულა.

„ლეგა ბასკეტის“ მე-9 ტურის ცენტრალურ მატჩში მარკოიშვილის „მაპორო კანტუ“ ვიქტორ სანიკიძის „მონტეპასკი სიენას“ შეხვდა და 56:67 დამარცხდა. მარკოიშვილმა პრაქტიკულად შეუცვლელად ითამაშა და 37 წუთში 18 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა.

თავისიანთა რიგებში გამორჩეული იყო ვიქტორ სანიკიძეც, რომელიც ასევე მიუახლოვდა ორმაგ დუბლს - მან 23 წუთში 10 ქულა და 8 მოხსნა გააკეთა, თუმც იგი ამპლუით ფორვარდია და ხშირად ახერხებს დიდი რაოდენობით მოხსნების მოგროვებას.

„სიენასთვის“ ეს გამარჯვება 9 თამაშში მე-7 იყო. სანიკიძის გუნდი ამ შედეგით იტალიაში მეორეა, ხოლო „კანტუს“ მოგება-წაგებათა ბალანსი 6-3 აქვს და მეოთხე ადგილზე იმყოფება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ქამი წიწილების დათვლისა

მიმავალი სეზონის სიმბოლური ნაკრები 7 იანვარს ციურიხში ფიფას ტრადიციულ გალა-წარმოდგენაზე გახდება ცნობილი, მანამდე კი ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაცია და პროფესიონალ მოთამაშეთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაცია კანდიდატებს ცალკეული ამპლუების მიხედვით ავლენენ.

შეგახსენებთ, რომ უკვე დასახელებულია პრეტენდენტთა ხუთეული მეკარის პოზიციაზე და 20 პრეტენდენტი მცველთა 4 პოზიციაზე, დღეს კი 15 რჩეულ ნახევარმცველს გაგაცნობთ.

ხაბი ალონსო, მესუთ იოზილი, ლუკა მოდრიჩი („რეალი“), სერხიო ბუსკეტსი, სესკ ფაბრეგასი, ანდრეს ინიესტა, ხავი („ბარსელონა“), დავიდ სილვა, იაია ტურე („მანჩესტერ სიტი“), ედენ აზარი, ფრენკ ლამპარდი („ჩელსი“), ფრანკ რიბერი, ბასტიან შვაინშტაიგერი („ბაიერნი“), სტივენ ჯერარდი („ლივერპული“) და ანდრეა პირლო („იუვენტუსი“).

რაც შეეხება თავდამსხმელთა ნომინანტებს, მათ ვინაობას ხვალ შევიტყობთ.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი

დაქვეითებას გადავურჩით

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებს, თბილისში ფიჯისგან 19:24 განცდილი მარცხი 0,92 სარეიტინგო ქულის დაკარგვად დაუჯდა, მაგრამ მე-17 ადგილი შეინარჩუნა. სამაგიეროდ, მოგებით იხეირა ფიჯიმ, რომელმაც კანადას გადაასწრო და მე-13 ადგილამდე აღზევდა.

ისე მოხდა, რომ ნოემბრის ტესტ-მატჩების შემდეგ ერთა თასის გუნდები ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივდნენ და ეს იმის მანიშნებელია, რომ გაზაფხულზე მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი გვექნება. ჩვენი ჯგუფიდან ბოლო დღეს საქართველოს გარდა რუმინეთი თამაშობდა, რომელმაც აშშ-ს ბუქარესტში უმასპინძლა, 3:34 შერცხვა და მე-18 ადგილი ესპანეთს დაუთმო. სწორედ ესპანეთია ახლა საქართველოს ქვემოთ, მას რუმინეთი, რუსეთი და პორტუგალია მოყვებიან, ბელგია კი, ოდნავ ქვევით, ურუგვაის შემდეგ 23-ე ადგილზეა.

ჩვენზე უფრო მეტად, რეიტინგის ბედი იმ მოწინავე 12 ნაკრებს აღელვებდა, რომლებმაც 2011 წლის მსოფლიო თასზე ჯგუფში პირველი-მესამე ადგილების დაკავებით 2015 წლის მსოფლიო თასზე თამაში დაიბევეს. დეკემბრის დასაწყისში სწორედ ამ რეიტინგის მიხედვით მოხდება მათი კალათებში განთესვა. უკვე საბოლოოდ გახდა ცნობილი იმ ოთხი ნაკრების ვინაობა, რომლებიც პირველ კალათაში იქნებიან და შესაბამისად, ჯგუფში ერთადაც არ მოხვდებიან, მომდევნო ორი კალათის, უფრო სწორედ რვა გუნდის ბედი, მოგვიანებით გაირკვევა.

ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია და საფრანგეთი პირველ კალათაში იქნებიან. მიუხედავად სამხრეთ აფრიკასთან განცდილი მარცხისა, მეორე კალათში მოხვედრა დაბევებული აქვს ინგლისს, ოღონდ ეგაა, ნოემბრის ტესტებამდე ის მე-4 საფეხურზე იყო და ამით მთლად კმაყოფილი არ უნდა იყოს. გასულ შაბათს ირლანდიამ არგენტინასთან შთამბეჭდავი გამარჯვება რომ მოიპოვა, ეს უკანასკნელი რვა გუნდს მიღმა აღმოჩნდა, თავად კი, მეორე კალათა დაიბევა.

არგენტინას და სამოას თანაბარი ქულები კი აქვთ, მაგრამ წყნარი ოკეანის წარმომადგენლები სამხრეთამერიკელებს მეათასედებით ჯობნიან და შეუძლიათ გახდნენ პირველი ოკეანეთის გუნდი, რომელიც მსოფლიო თასის კენჭისყრისას მეორე კალათში იქნება. აი, ინგლისის ბედი კი უელსზე კიდია, რომელიც 1 დეკემბერს ავსტრალიას ეთამაშება და მარცხის შემთხვევაში კუთვნილ მე-7 პოზიციას სამოას დაუთმობს, არგენტინა მერვეზე აინაცვლებს, უელსი კი, მესამე კალათში გადაინაცვლებს. მაგრამ უელსელებმაც იციან, რომ მათ მიზნის მისაღწევად მინიმუმ ფრე სჭირდებათ და მაქსიმუმს გაიღებენ.

ტონგასთან განცდილი პირველი მარცხის შემდეგ, შოტლანდია თავის ყველაზე ცუდ მაჩვენებელ — მე-12 ადგილამდე დაეშვა და ამ შედეგმა გუნდის მთავარი მწვრთნელის ენდი რობინსონის პოსტიც შეიწირა.

რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მსოფლიო რეიტინგი 28 ნოემბრისთვის

1 (1). ახალი ზელანდია 92,91,
2 (2). სამხრეთ აფრიკა 86,94,
3 (3). ავსტრალია 86,31,
4 (4). საფრანგეთი 85,07,
5 (5). ინგლისი 81,07,
6 (7). ირლანდია 80,22
7 (8). უელსი 78,95,
8 (9). სამოა 78,71,
9 (6). არგენტინა 78,71,
10 (11). იტალია 76,24,
11 (12). ტონგა 76,10,
12 (10). შოტლანდია 75,83,
13 (14). ფიჯი 71,52,
14 (13). კანადა 71,41,
15 (15). იაპონია 70,09
16 (16). აშშ 68,32,
17 (17). საქართველო 65,83,
18 (19). ესპანეთი 63,09,
19 (18). რუმინეთი 62,12,
20 (20). რუსეთი 61,49,
21 (21). პორტუგალია 59,63,
22 (22). ურუგვაი 59,37,
23 (23). ბელგია 59,17
24 (24). ნამიბია 58,45,
25 (25). ჩილე 57,02,
26 (26). პოლონეთი 56,91,
27 (27). კორეა 56,72,
28 (28). ჰონკონგი 55,49,
29 (29). გერმანია 54,52,
30 (30). ზიმბაბვე 54,03,
31 (31). უკრაინა 53,80,
32 (32). მაროკო 52,35,
33 (33). ბრაზილია 52,18.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ არჩევანის წინ

ვინც ეძებს...

როგორც იცით, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი მარჩელო ლიპი ამჟამად ჩინეთში მოღვაწეობს, სადაც „გუანჩჟოუს“ ავარჯიშებს. და მერე როგორ: ამ პროვინციულმა კლუბმა უკვე მოიგო როგორც ქვეყნის ჩემპიონატი, ისე თასი!

ამ დღეებში გამჟღავნდა, რომ უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია „ლურჯ-ყვითელთა“ თავკაცის პოსტზე სწორედ იტალიელი სპეციალისტის კანდიდატურას განიხილავს და მასთან მოლაპარაკებებსაც აწარმოებს.

შეგახსენებთ, რომ აქამდე უკრაინული ფეხბურთის მამებმა ეროვნული ნაკრების მესაჭეობა ანდრეი შევჩენკოსა და ჰარი რედნაპს შესთავაზეს, მაგრამ მათგან უარი მიიღეს.

საკუთარი ინფორმაცია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ „ვაზო, შვილივით ნაზარდო“...

ვის არ სჯერა, რომ ღვინო ჩვენმა წინაპარმა არგუნა კაცობრიობას!..

ხრამის დიდგორზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს მეცნიერებმა მცირე ზომის ქვევრი იპოვეს, რომლის გვერდების ანაფხეკზე მოგვიანებით ქიმიკოსებმა ყურძნის ყვავილის მტვერი ნახეს, რითაც დაასკვნეს, რომ თიხის ამ ჭურჭელში ჩვენი წინაპრები ღვინოს ინახავდნენ. ეს ფაქტი ბევრი არაფრის მთქმელი იქნებოდა ჭურჭლის ასაკი 8 ათასი წელი რომ არ ყოფილიყო.

მიმდინარე წლის 23 თებერვალს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნე ჩემი ვარაუდი, რომ ყვავილის მტვერი, რომელმაც 8 ათასი წელი გაძლო ჭურჭლის კედელზე, ღვინოში ყურძნის მტვნიდან ვერ მოხვდებოდა (ის ზაფხულის განმავლობაში წვიმისა და ქარის ზემოქმედებით ცვივა), ქართველებს ღვინის დამზადების ქართულ ტექნოლოგიათა შორის გვაქვს კარგი ფერისა და სურნელის მქონე ღვინის დამზადების ტექნოლოგია. ამ ტექნოლოგიის თანახმად ღვინოს მუქ ჩალისფერს ყურძნის გამხმარი ყვავილით აძლევენ. ღვინის შეფერვის ეს ხერხი კარგად აქვს აღწერილი სულმნათ ლ.ჯორჯაძეს თავის წიგნში „მევენახეობა და ღვინის დაყენება“.1876 წ. ყველა ზემოთ აღწერილიდან მე დავასკვენი, რომ ჩვენს წინაპარს 8 ათასი წლის წინათ არა მხოლოდ ღვინის დამზადება სცოდნიათ, არამედ, მისთვის კარგი ფერისა და ბუკეტის მიცემა. პირველი ღვინო ჩვენს წინაპარს 15-20 საუკუნის წინათ უნდა დაემზადებინათ.

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი დოკუმენტური მასალისა, ბევრ ჩვენს მეღვინე სპეციალისტს (რომ არაფერი ვთქვათ ჩვეულებრივ მოქალაქეებზე), ჰგონიათ, რომ უდედოდ ღვინის დამზადების ტექნოლოგია ევროპულია. ისინი სიამაყით აღნიშნავენ, რომ მსოფლიოში ღვინის დამზადების სამი ტექნოლოგიაა, აქედან ორი ქართულიაო. ამ ორში ისინი ღვინის დამზადების კახურ და იმერულ ტექნოლოგიებს გულისხმობენ. ორივე ეს ტექნოლოგია ღვინის ჭაჭაზე დაყენებას გულისხმობს, უდედოდ ღვინის დაყენების ტექნოლოგიას კი ევროპელებს მიაწერენ. ამით კი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, უარყოფენ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს, რომ პირველი ღვინო საქართველოში ჩვენმა წინაპარმა დაამზადა. აკი ისარგებლეს კიდეც სომხებმა ჩვენი ბედოვლათობით — ღვინო ქართველებმა კი არა ჩვენ მივეცით კაცობრიობასო!

განვითარების ადრეულ ეტაპზე ადამიანი შეგროვებით მეურნეობას ეწეოდა. ის ყველანაირ ხილს ტყეში მოიპოვებდა, მათ შორის ყურძენსაც. განვითარების რაღაც ეტაპზე კაცი მიხვდა, რომ რადგან კუჭი ყურძნის წიპწას და კანს ვერ გადაამუშავებს, მისი ჭამა აუცილებელი არ არის, ამიტომ დაიწყო ყურძნიდან წვენის გამოწურვა და მისი სმა. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს წვენი ხშირად ზედმეტი დაეწურა და დარჩენილი მეორე დღისთვის გადაენახა. ისიც არ არის გამორიცხული, რომ წურვა-გადანახვაში წვენის დალევა დაგვიანებოდა და ამ წვენს დუღილი დაეწყო. ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ თუ ის მადუღარა წვენს დალევდა, ძალიან მოეწონებოდა, ამიტომ გადანახვა-დაყოვნებას სულ უფრო ხშირად და ხანგრძლივად გააგრძელებდა, რომელსაც, ბოლოს და ბოლოს, წვენის დაღვინება მოყვებოდა.

ლოგიკური მსჯელობით, ყურძნის წვენის ღვინოდ დადუღება დაახლოებით ასე უნდა მომხდარიყო: ყურძნის წვენი უდედოდ უნდა დადუღებულიყო. იფიქრო ის, რომ კაცმა ყურძნიდან წვენი გამოწურა, ჭაჭა წვენში უკანვე ჩაყარა და ისე შეინახა მეორე დღისთვის, არავითარ ლოგიკაში არ ჯდება. ამიტომ იმის მტკიცება, რომ პირველი ღვინო ყურძნის წვენის დურდოზე დადუღების შედეგად მიიღეს, აბსურდია. ამიტომ, უნდა დავიჯეროთ, რომ ის კაცი, რომელმაც ყურძნის წვენი უდედოდ ღვინოდ დაადუღა, უთუოდ ჩვენი წინაპარი იყო! პირველობაც არავის არ უნდა დავუთმოთ!

მაშ, რა მოიგონეს ევროპელებმა ისეთი, რისთვისაც უდედოდ ღვინის დაყენების ტექნოლოგიას მათ მიაწერენ?

ყველა ენციკლოპედიაში „ღვინის ტექნოლოგია“ შემდეგნაირად არის განმარტებული: „ღვინის ტექნოლოგია სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც შეისწავლის ყურძნის ღვინოდ გადამუშავების ხერხებს და მეთოდებს, აგრეთვე, მის დავარგებას, დაძველებას და ჩამოსხმას. როგორც ხედავთ ღვინის დავარგება ღვინის დამზადების ტექნოლოგიის ერთ-ერთი ოპერაციაა, რომელიც ყურძნის წვენის ღვინოდ დადუღების შემდეგ იწყება და თავის თავში გულისხმობს ღვინის დაწმენდას — დალექვა-გადაღების გზით. ამ ოპერაციას ქართველები ტრადიციულად ქვევრში ვახდენთ, ევროპა და მთელი მსოფლიო კი ძირითადად მუხის კასრში. აღწერენ რა ღვინის დაყენებას უდედოდ, ღვინის ისტორიაზე მომუშავე ქართველი სპეციალისტები წერენ, რომ „შეძლებული ოჯახები საქართველოში ამ ტექნოლოგიით ქალებისა და მოხუცების სასმელ ღვინოს ამზადებდნენო“. ასეთი ტექნოლოგიით დამზადებული ღვინო დაბალექსტრაქტული და სურნელოვანი სასმელიაო. ამდენად, ქართული წესით ამ ღვინის ექსტრაქტით შემდგომი გამდიდრება არ ხდება, ევროპელები კი უდედოდ დაყენებულ ღვინოს, ექსტრაქტით გაჯერების მიზნით, მუხის ახალ კასრში ასხამენ, სადაც ღვინო ჯერდება მუხის ტანიდებით. მათ, ვისაც ჰგონიათ, რომ უდედოდ დაყენებული ღვინის მუხის ტანიდებით გაჯერება ტექნოლოგიაა, ძალიან ცდება. ეს ღვინის მუხის ტანინით, ლიგნინით, ფენოლური ნივთიერებებით შეკმაზვაა, რომლის შედეგადაც ღვინო თავის ნატურალობას კარგავს და კარგი ბუკეტისა და გემოს მქონე ალკოჰოლურ სასმელად იქცევა (რატომ არ ვთვლი მუხის კასრში დავარგებულ ღვინოს ნატურალურად, ეს ცალკე მსჯელობის საგანია).



ღვინის დამზადების ყველა ტექნოლოგია, გარდა ღვინის გაბევრების ტექნოლოგიისა, ყველა ქართულია, ბევრს ალბათ ამის წაკითხვაზე შამპანური ღვინის დამზადების ტექნოლოგია გაახსენდება და შემედავება. მათ უნდა შევახსენო, რომ ღვინის დამზადების 13 ქართულ ტექნოლოგიაში ერთ-ერთი „შუშხუნა ღვინის წარმოების ტექნოლოგიაა“. ეს ტექნოლოგია ღვინის ბუნებრივი დუღილის შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგით გაჯერებას გულისხმობს. ასეთივე ტექნოლოგიით მზადდება შამპანური ღვინო, მათ შორის განსხვავება ისაა, რომ ასეთ ღვინოს ჩვენი წინაპარი სამიათასი წლის წინათ აკეთებდა, ამის მოწმეა ჰომეროსი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX საუკუნეში წერდა: „კოლხური ღვინო მჩქეფი და სურნელოვანი სასმელი იყოო“. მჩქეფი კი ნახშირორჟანგით გაჯერებული შუშხუნა ღვინოა. მართალია, ფრანგმა ბერებმა ამ ტექნოლოგიას დამოუკიდებლად მიაგნეს და არავითარ პლაგიატს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ, რადგან შუშხუნა ღვინის დამზადების ტექნოლოგია უკვე არსებობდა, მათ ეს ტექნოლოგია თავისთვის აღმოაჩინეს და არა მსოფლიოში გასავრცელებლად.

კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო მკითხველს, რომ ნატურალური ღვინის დამზადების ყველა ტექნოლოგია ქართულია. თუ ვინმემ რაიმე მიზნის მიღწევის მიზნით რომელიმე ტექნოლოგიაში რაღაც სიახლე შეიტანა, ეს არ შეიძლება ცალკე ტექნოლოგიად ჩავუთვალოთ. უნდა გვჯეროდეს, რომ პირველი ღვინო ყურძნის წვენის უდედოდ დადუღების შედეგად მიიღეს და ვინც ეს პირველმა გააკეთა, ღვინოც მან მისცა კაცობრიობას. ეს ჩვენი წინაპარი იყო.

ქართველებს ამაში ვერავინ შეგვედავება...

ჟორა გაბრიჭიძე,
ბიოტექნოლოგიების ინსტიტუტის თანამშრომელი

P. S. ამ აქტუალურ თემაზე ველოდები სპეციალისტების და რიგითი მეღვინეების გამოხმაურებას. შეგიძლიათ დამიკავშირდეთ ტელეფონით: 551 333 155.
ჟ. გ.

◎ წკეპლიკა

„პოსტნაცურ“, პოლიციავ!..

ბოლო ხანებში ბენზინგასამართ სადგურზე ზედიზედ იმართება დაყაჩაღებები. „პოსტნაცურ“ თბილისში, თუ თვლა არ დამვიწყებია, ბარე ოთხი თუ ხუთი ძარცვა შედგა „გზიდან გადაყვანილი“ სადგურების და ჯერ არც ერთი არაა, მგონი, გახსნილი. „მგონი“, იმიტომ, რომ ეს ჩვენი ოპერატიულობით განთქმული ტელეეკრანი ავაზაკობის ფაქტს უმალვე იუწყება ხოლმე, ავაზაკების აყვანაზე კი „ხმას ითრევს“... რა ქნან ტელევიზიონისტებმა, თვითონ ხომ ვერ დაიკავებენ...

ჩვენ, უნიღბონი, ჩვენ, უიღბლონი, თქვენ, ნიღბიანთა მუზად გგონივართ... დიახ, დამყაჩაღებლები, როგორც წესი, ნიღაბაფარებულნი შეიჭრებიან ხოლმე შოვნის ველზე, ხან ცივი იარაღით, ხან ცხელით შეიარაღებული, ადვილად ხსნიან სალაროებს და გაქრებიან. შენ მერე საქმის გახსნა თქვი, თორემ სალაროს გახსნას რა უნდა...

ცივ იარაღზე გამახსენდა: ერთ შემთხვევაში ლარებმაძიებელი ერთი შევარდა დანით იმა და იმ სადგურზე და ორ ტალიკ-ტალიკა ოპერატორს ააწევინა ხელები და წნევა. კაცო, ერთი ოპერატორი მაინც ვერ ეცა წინ სკამმომარჯვებული, რომ მერე მეორეც მიშველებოდა და მოძალადისათვის დანა გაეგდებინებინათ, ზედაც გაეკოჭათ? ეგებ სულაც ნაცთა დაქირავებული გამომდგარიყო... დანა ხო პისტოლეტი არ არი...

კი, სათვალთვალო კამერები ბეჯითად აღნუსხავენ მომხდარს, მარა რაი მერე, შედეგი რო არ ჩანს? ცხონებულ ზურაბ ჟვანიას, კამერები კი არა, მთელი დაცვა „უთვალთვალებდა“, მაგრამ დამნაშავეებს ვერ მიაგნეს...

ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, ან ჩვენს გარეთაც, თავგასული ნაცების დაპატიმრებას რა უნდა — ერთი, უფლებამოსილების გადაჭარბება უნდა, მეორე — სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა უნდა... აი, ბენზოავაზაკების აყვანას რა უნდა, მაგას კი ვერ ვხვდები... იქნება მართლა მერაბიშვილი ან ახალაია (ბაჩო)...

ეგ ფიქრებში და ჩვენს გესლიან კილვაში მოკვდა — ასე იტყიან ჩემზე ნაცები... და მართალიც იქნებიან, ოღონდ ეს ოხერი ფიქრები, ზოგჯერ რომ სხარტულებად ამიწრიალდებიან ხოლმე, ახლა ქაროცნე ძალოვანებს დასტრიალებს: ძვირფასო „პოსტნაცურ“ ჩვენო პოლიციავ, მძარცველებისათვის ვერ რომ მოგიცლია, მეორე თვეა და იმათი დაჭერის ერთი მაგალითი მაინც მოგიცია?..

ბერდია ბედოიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერიის ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესორი

გივი გამსახურდია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

განცხადება

2012 წლის 18 დეკემბერს ქ. თბილისში, ცემის ქ. 3-ში 15 საათზე ჩატარდება სს „ელექტროტექნიკური ქარხნის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1) საწარმოს აქტივების მოწოდება-გასხვისება;
2. სხვადასხვა.

ადმინისტრაცია

◎ ალიან-ჩალიანი

სამხედრო სავალდებულო სამსახურთან დაკავშირებით ცვლილებები იგეგმება

— ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, ცვლილებები იგეგმება სამი მიმართულებით, კერძოდ: სავალდებულო სამსახურის ხანგრძლივობის შემცირების კუთხით, წვევამდელთა ასაკის გაზრდის და თანხის სანაცვლოდ გადავადების მიღების უფლებით სარგებლობის მიმართულებებით.

სესიაშვილის განმარტებით, პირველ ეტაპზე მოხდება ის, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახური გახდება ისევ ერთწლიანი 15-თვიანის ნაცვლად.

მისივე თქმით, გაზაფხულზე პარლამენტში უკვე მოხდება წარდგენა კანონპროექტის, რომლის მიხედვითაც ჯარში გაწვევის ასაკი განისაზღვრება 19 წლიდან.

რაც შეეხება თანხის სანაცვლოდ გადავადების მიღების უფლებით სარგებლობას, სესიაშვილის განმარტებით, ეს მუხლი, შესაძლოა, საერთოდ გაუქმდეს.

— მას შემდეგ რაც მთლიანად განისაზღვრება თავდაცვის სამინისტროს და განსაკუთრებით შეიარაღებული ძალების რეფორმის გეგმა და ამას მოერგება გაწვევის და სამხედრო-სარეზერვო სისტემა თავისთავად შესაძლებელი გახდება ამ მუხლის მთლიანად გაუქმება. მეტსაც გეტყვით, არის გარკვეული წინადადებები და იდეებიც, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც ფულის გადახდით გადავადების სისტემა შეიცვალოს უფრო ლიბერალური სისტემით. ამ შემთხვევაში ამ სისტემის ტრანსფორმირება მოხდება ისე, რომ თუ წვევამდელს სურს, რომ გაწვეულ იქნას არა ამ წელს არამედ მომავალ წელს, შესაძლებელია მოხდეს ამის შეთანხმებაც კი, — აღნიშნა სესიაშვილმა.

ახალი ფრაქცია - თბილისის საკრებულოში

თბილისის საკრებულოში ახალი ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისი“ შეიქმნა. ფრაქციას „ქართული ოცნების„ წევრი გიორგი მუსხელიშვილი უხელმძღვანელებს.

ფრაქციის ერთ-ერთი წევრია ასევე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი მაკა გვარამია, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე საკრებულოში „მრეწველების“ პარტიული სიით გასული გიორგი ტყემალაძე.

ახლად შექმნილი ფრაქციის წევრებმა საკრებულოში პირველი ბრიფინგი გამართეს.

როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისის“ თავმჯდომარემ გიორგი მუსხელიშვილმა განაცხადა, ახლად შექმნილი ფრაქციის წევრები მკაცრად გააკონტროლებენ ბიუჯეტის სახსრების განკარგვას, რათა თბილისელი გადამხდელების თანხები გასართობ ადგილებში არ დაიხარჯოს, კერძოდ, როგორც ეს მოხდა ძველი თბილისის განვითარების ფონდიდან სტრიპტიზ-ბარში თანხების გადარიცხვის შემთხვევაში.

მუსხელიშვილის თქმით, საკრებულომ თავისი ფუნქცია უნდა დაიბრუნოს და საკრებულოს წევრები თბილისის მერის გიგი უგულავას ნების შემსრულებლები არ უნდა იყვნენ.

საკრებულოში დღეისთვის სულ ოთხი ფრაქციაა: „ნაციონალური მოძრაობა“, „ქრისტიან-დემოკრატები“, „თავისუფლება“ და „ქართული ოცნება — თბილისი“.

ინტერპრესნიუსი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პოეზია

იუზა ჩაკვეტაძე

წინ დახვდება დათესილი სიკეთე

ბოროტება ვარდებს აქცევს ცოცხებად,
საქართველო გაგვიძარცვეს „ნაცებმა“...
ქართველებს ვერ წაგვართმევენ ოცნებას,
ბნელი ღამე განთიადთან მარცხდება.

ღვთისმშობელმა რწმენის გზაზე გვატარა,
გამთელდება, ცას ბზარი რომ ეტყობა,
ერის ნებას ვერ ამარცხებს სატანა,
წინ ვერავინ დაუდგება ერთობას.

ჯანღი ქრება მზის სხივებით ნაკვეთი,
ვერ დაფარა, თვალს ცრემლებით ინისლავს,
აღტაცება არ მინახავს ასეთი,
სიხარული დაიბრუნა თბილისმა .

ამერ-იმერ ყველა კუთხე ზეიმობს,
საქართველოს მალე ვნახავთ ერთიანს,
ცის გუმბათზე დაე მუდამ მზე იყოს,
ჩვენი შემწე და მფარველი ღმერთია.

P.S.
გულს იმედი დაუბრუნდა, მშვიდდება,
ხალიბური მტრისთვის მუდამ იკვეთებს ...
თუმც არ ეძებს ერის კაცი დიდებას,
წინ დახვდება დათესილი სიკეთე.

სიფხიზლეს ნუ მოვადუნებთ

არწივებმა მოიფრინეს
საქართველოს ცა გუნდებად,
ქვეყნის ნგრევის და ძარცვის დრო
არასოდეს დაბრუნდება.

ნაკურთხ მიწას ეფერება
მზე სიცოცხლის გამმართავი,
საქართველო გამთელდება,
გაიმარჯვებს სამართალი.

საოცარი ნათელი რთავს
მთა და ბარის სალოცავებს,
გავიხსენოთ წინაპრები,
სამოთხიდან დაგვლოცავენ.

ოცნებას ვერ წაგვართმევენ,
მოაგელვებს თეთრონს ბარში,
ამერ-იმერ ქართველებმა
ძალა ჰპოვეს ერთობაში.

სიფხიზლეს ნუ მოვადუნებთ,
არ დაგვასწრონ ამხედრება,
დაბრუნება მოინდომეს
ბილწებმა და თავხედებმა...

10 ოქტომბერი, 2012 წელი.

◎ შეუცნობელი

მონროს ტბის „უცხოპლანეტელები“

ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური კვლევის ეროვნული სააგენტოს (ნასას) მეცნიერებმა ორი წლის წინანდელ სენსაციურ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ არამიწიერი წარმოშობის სიცოცხლის წარმომადგენლები აღმოაჩინეს. თანაც არა განამარხებული ჩონჩხები, არამედ ცოცხალი არსებები და არა, ვთქვათ, მარსზე, როგორც ეს შეიძლებოდა ვინმეს ეფიქრა, ან სადმე შორეულ კოსმოსში, არამედ... დედამიწაზე, კერძოდ კალიფორნიის იოსემიტის ეროვნული პარკის მონროს ტბის წყალში!

უცხოპლანეტელთა „როლს“ უმცირესი ზომის ბაქტერიები „ასრულებენ“, რომლებიც ნასას ასტრობიოლოგიური ინსტიტუტისა და არიზონის უნივერსიტეტის ერთობლივი კვლევითი ჯგუფის წევრებმა მონროს ტბის მარილის დანალექ ქანებში აღმოაჩინეს. ექსპედიციის ხელმძღვანელის, დოქტორ ფელიცია ვოლფ-საიმონის განცხადებით, მათ **სიცოცხლის ფორმას მიაგნეს, რომელიც მიწიერი სიცოცხლის არც ერთ ფორმას არა ჰგავს: მონროს ტბის ბაქტერიების „უცხოპლანეტური“, უკეთ რომ ვთქვათ, კოსმიური წარმოშობის მთავარი არგუმენტი ისაა, რომ მათ დნკ-სა და რნკ-ში დარიშხანია „ჩაშენებული“ და არა ფოსფორი, როგორც ეს დედამიწაზე ყველა ცოცხალ ორგანიზმს აქვს!**



დედამიწაზე სიცოცხლე ექვს ქიმიურ ელემენტზეა დაფუძნებული, ესენია **ნახშირბადი, წყალბადი, აზოტი, ჟანგბადი, ფოსფორი და გოგირდი, რომლებიც ამინომჟავების, დნკ-ების, ცილებისა და ცხიმების საშენ მასალას წარმოადგენენ.** მათ შორის ფოსფორი — ერთ-ერთი უმთავრესი „აგურია“ და მიჩნეული იყო, რომ მის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია. არადა, აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის და ამის მტკიცებულება მონროს ტბის ბაქტერიებია, რომლებსაც აღნიშვნა GFAI-1 მიანიჭეს: მათში ფოსფორი დარიშხანითაა ჩანაცვლებული, რომელიც მენდელეევის ცხრილში ფოსფორის ქვეშაა მოთავსებული და ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით ძალიან ჰგავს მას. თუმცა, ეს სულაც არ არის ერთი და იგივე — **საქმე ისაა, რომ დარიშხანი მიწიერი ორგანიზმებისთვის შხამია.**

მონროს ტბის ბაქტერიების აფმომჩენებმა ისინი სხვა მეცნიერებს უწილადეს, რომლებმაც ცოცხალი ორგანიზმები გაამრავლეს და გამოიკვლიეს. ახლა კი ისინი აცხადებენ, რომ ნასას სპეციალისტები აჩქარდნენ და რომ მონროს ტბის ბაქტერიები ჩვენთვის არც ისე „უცხოები“ არიან, როგორც ეს თავიდან ეგონათ.

კერძოდ, კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი როზმარი რედფილდის აზრით, მონროს ტბის ბაქტერიები დარიშხანს არც ჭამენ, არც საკუთარი ზრდისთვის იყენებენ. მას შვეიცარიელი მკვლევარებიც ეთანხმებიან, რომელთა აზრით GFAI-1-ის სამშენებლო მასალა მაინც ფოსფორია, თუმცა კი, დარიშხანის მომწამლავი მოქმედების მიმართ დიდი მედეგობა აქვს. **სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მონროს ბაქტერიები დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის დადგენილ წესს მაინცდამაინც არ ეწინააღმდეგებიან.**

მიუხედავად ამისა, **ნასას** მკვლევარები თავიანთ აზრს მაინც არ იცვლიან.

— სიცოცხლე არ შემოიფარგლება მხოლოდ ჩვენთვის ცნობილი ფორმებით, — ამბობს დოქტორი ვოლფ-საიმონი. მის მხარდამჭერებს მიაჩნიათ, რომ სხვა პლანეტებზე, რომლებიც სულაც არ არის აუცილებელი, რომ დედამიწას ჰგავდნენ, ანუ ჰქონდეთ წყალი და ჟანგბადი, სიცოცხლის სხვანაირი ფორმები სავსებით შესაძლებელია რომ არსებობდნენ. უბრალოდ, იქ სიცოცხლე რომელიღაც სხვა ელემენტებზე იქნება დაფუძნებული, რომლებიც მათ გარემოსთან შეგუების შესაძლებლობას შეუქმნიან. ისინი სწორედ ამით ხსნიან იმ გარემოებას, რომ მონროს ტბის ბაქტერიები სავსებით შეეგუენ შხამიან დარიშხანს.

მოკლედ, ზებუნებრივი ბაქტერიების წარმოშობა უცნობია — ისინი, შესაძლოა, ადგილობრივი მკვიდრნი იყვნენ, ანდა კოსმოსიდან შემოსულნი.

არიზონის უნივერსიტეტის ცნობილი მკვლევარის პოლ დევისის აზრით, **სხვადასხვა პლანეტაზე, მათ შორის დედამიწაზე, სიცოცხლე, შესაძლოა, რამდენჯერმე წარმოიშვა და შემდეგ დაიღუპა, რა დროსაც „წინა“ ცხოვრების დროს შექმნილი ორგანიზმები გადარჩნენ და „შემდეგ“ ცხოვრებაში გადავიდნენ.**

იქნებ მონროს ტბის ბაქტერიებიც ასეთი „რეინკარნირებულნი“ არიან?

ნინო ალექსანდრია

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი გარეკეთილად

ავრცელებენ ხმებს, რომ ღარიბაშვილი სუსტი მინისტრია...

„ცოცხების პარტიაში“ თურმე შეიქმნა საგანგებო შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობს გიგა ბოკერიას მეულლე თამარ ჩერგოლეიშვილი. შტაბის წევრები ყოფილან „იეღოველთა პორნოვარსკვლავი“ თეა თუთბერიძე და კიდევ რამდენიმე „ოპოზიციონერი“.

ამ ჯგუფს დავალებული აქვს საზოგადოებაში შექმნას ნეგატიური განწყობა, თითქოს ირაკლი ღარიბაშვილი არის სუსტი მინისტრი, თითქოს ახალი ხელისუფლება უძლურია კრიმინალებთან ბრძოლაში და ა. შ.

„ალია“

„აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრისთვის მორატორიუმი უნდა გამოვაცხადოთ“

— მიაჩნია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერს კახა კუკავას, — ილუზია იმისა, რომ ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზებისა და ოსების რაიმე სტატუსს მივაღწევთ, გამორიცხულია. შეიძლება იმაზე ვიფიქროთ, რომ აფხაზებმა და ქართველებმა ხელახლა შევქმნათ ერთიანი სახელმწიფო. ვფიქრობ, ტაივანურ მოდელს უნდა მივაღწიოთ. ამ გზით პირველ ეტაპზე სტატუსის გარდა, ყოველნაირი ურთიერთობა აღდგება. მაგალითად, კომუნიკაცია, ვაჭრობა... შემდეგ ეტაპზე კი დევნილთა დაბრუნება, მონაწილეობა ხელისუფლების ფორმირების პროცესში და ა. შ. შემდეგ, ალბათ, ვისაუბრებთ სტატუსის მოძებნაზე.

„რეზონანსი“

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

◎ ანეკდოტები

— თუ საბოლოოდ გადაწყვეტ დაქორწინებას, უმჯობესია, იაპონელი შეირთო ცოლად.
— რატომ იაპონელი?
— იმიტომ, რომ ჯერ ერთი, იაპონელი ქალები ნაზი, ალერსიანი, გამრჯე ცოლები არიან, და, რაც მთავარია, შენი სიდედრი რაღაც იოკოჰამაში იცხოვრებს.

* * *

— ძვირფასო, უკვე რად არ მეძახი შენს ღმერთქალს? — ეკითხება ცოლი ქმარს ქორწილის შემდეგ.
— მაპატიე, ძვირფასო, მაგრამ რამდენიმე დღეა, ათეისტი გავხდი!

* * *

სიდედრს ორი კბილი უნდა ჰქონდეს.

ერთი — სიძისთვის ლუდის ბოთლის გასახსნელად. მეორე კი იმისათვის, რომ ტკიოდეს.

* * *

— ეჰ, მაინც როგორ იცვლება ადამიანი ქორწინების შემდეგ, — ეუბნება ტიპი თავის ძმაკაცს, — ადრე მსოფლიოს აბსოლუტურად ყველა ქალი ჩემთვის მინდოდა, ახლა კი ამ ქალებს ერთი გამოაკლდა.

* * *

— გუშინ ჩემს საცოლეს ყველა ჩემს ადრინდელ ცოდვაში გამოვუტყდი, — ეუბნება ტიპი ძმაკაცს.
— მერე?
— არც ამან მიშველა, ორი კვირის შემდეგ ქორწილი გვაქვს.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com